[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

1853 წელს

[illegible]

[illegible]

**ПЕЧАТАТ ПОЗВОЛЬЯЕТСЯ,**

съ тѣмъ, чтобы по отпечатаніи представлены были въ Ценсурный Комитетъ узаконенное число экземпляровъ, г. Тифлисъ. 1 Сентября 1853 года.

Исправляющій должность Грузинскаго ценсора Се

Алексѣевъ.

Въ Типографіи К. Г. Эристова.

ცის
კარი.

ქართული სიტყვიერებითა
ჟურნალი.

( განგრძელება. ) საფია.

— ვაცა გულოდებიან თქუენ. . . — უთხრა მას ბანოვანმან, დაიფარვიდა რა სახესა თჳსსა ბადუტათი. — მაგრამ, ჯერ კიდევ ადრეა. კიდევ მოასწრობთ თქუენ წა ზმანებას გეტყოს, როგორც გუშინ . . .

— რას ზმანებით? არ მესმის რა გნებავთ სათქმელად.

— განა თქჳენ არ ზმანდებოდით წუხელის ოტკალესას, ამ ნიშნით რომ მეც მოგასწარით? თქჳენ არ დაჰკარგეთ ეს ხანჯალი?

და უჩვენა მას დამტვრეული ხანჯალი მოოქროვილით ტარითურთ. თჳთ მას ზანოვანსა ეჩუქებინა მისთჳს ის ხანჯალი.

— დარწმუნებული ხართ რომ სწორედ მე ვიყავ ისი? — სთქჳა მან ყოყმანებით.

— ეჱ, მაშ თქჳენ არ ზმანდებოდით? მაშ თქჳენ ჯერ იყავით, რომ თქჳენმა საყვარელმა. . . ურიის კოკობზიკამ. . . გადაგახტუნათ ფანჯრიდამ? . . . თქჳენ არ იყავით, რომ ჩასჯეგით ერდოიანს ნავში, რომელსაც თავდადეოს უნდოდა გამოემტვრევა მიანას კარი? . . .

— გაჩუმდი, ღჳთის გულისათჳს, გაჩუმდი!

— გამიგონე, ალექსანდრო, — სთქჳა ფიცხელმან საფია. . . — შეგვიძლიან ჩჳენ ვილაპარაკოთ ცხადად. ყოველივე ვიცი მე. გააგდე ის გოგო კაზინოდამ, ჰერეციიდამ; გაგზავნე პადუას, ვიჩენცას, სადაც გინდოდეს. . . მხოლოდ კი აქ არ იყოს ისა. . . მაშინ ყოველსავე დავივიწყებ მე და ყოველივე ჩჳენ შორის დამ-

თჳსის მკვლელებურად. . . თუ არა. . .

— შემიწყალე, საფია, რა დაგემართა. . . ოჰ, თუ იცოდე! . . .

— ოო! ახლა კი ვერღა მომატყუებ შენ მე. . . აგერ ისა, გელოდება. წადი იმასთან; მაგრამ გახსოვდეს: ისა ან მე. . .

ალექსანდრო გაჩუმდა, იმედოვნებდა რომე შემდგომში დაამშვიდებდა ისი იჭვნეულსა საფიას. გრაფინა განვიდა. დოჯე მიეახლოვა ძიანას, და შორის ამისა საიდუმლო მოთამაშე ისი, რომელსაცა უწოდებდენ სინიორ არნოლფოს, უცებ ადსდგა სტოლიდამ, მივიდა საფიასთან და ჩუმად უთხრა:

— გრაფინავ, თქვენ გიყვარსთ დოჯე, მაგრამ ისი გღალატობს თქვენ.

— მიბძანეთ ვინ ბძანდებით, და, მაშინ, იქნება დაგერწმუნო თქვენ.

— ჩემის ვინაობის ცნობა საჭირო არ არი თქვენთჳს. მე თქვენ მოგახსენებ: თქვენ იმეტებთ თქვენს თავს, თუ თავს არ დაანებებთ იმას ამავე დღეს.

— სთქვით ცხადად.

— წუხელის თქუჱნც იქ იყავით, სადაც ისიც იყო: გეტტოს უბანში, ურიის ოტტალეს სახლში.

— ჯერ პირველად მინდა ვიცოდე, ვის ველაპარაკები მე.

— კაცსა, რომელიც იცნობს ყველას და რომელსაც არა ვინ იცნობს; კაცსა, რომელსაც ეწყალება დოჯე და სურს რო თქუჱნ მაინც არ ჩაგიტანოს იმან თავისთან თავის სამარეში. წუხელის თქუჱნ და თადდეო იყავით ოტტალესას. მიანას სადგომი დაკეტილი იყო და გასაღები ჰქონდა დოჯეს. ყოველ დამ დაიარებოდა ისი იმასთან, ყოველ დამ თავს განებებდა თქუჱნ. . .

— დიაღ, მართალია.

— და წაიხდენს ისი თავს. . . დაიარება იმ სახლში, სადაც. . .

დაიხარა მან თავი და წასჩურჩულა საფიას ყურში შესაძრწუნებელი საიდუმლო. გრაფინას ფერი მიეხადა, მაგრამ დიდით სურვილით მოისმინდა თჳთოეულსა სიტყუვასა და დასასრულ სთქუა მან:

— გმადლობ. . . ვინც უნდა იყოთ თქუჱნ. . . მეგობარი თუ მეთვალ-ყურე. . . სულ ერთია. ახლა შემი-

ძლიან მე შური ვიძიო. . . გმადლობ. კმარა. დაბძანდ-ით თქუენსავე ალაგს.

მოთამაშენი, სასო-წარკვეთილნი წარვებათა გამო, ემზადებოდენ დაეცათ სვიური მეხი მდიდარის უცნობისა თჳს, რომელმანცა ჩაალაგა სკივრებში სრულიად მათი ფულები. ძიანა სდგა სტოლთან ჲ ქარიანად უმზერდა თამაშობასა.

— შეგვეწიეთ, მშვენიერო ძიანა,— უთხრა მას კაზანოვა,— გადასჭერით ქაღალდი, ჲ ბედი, უეჭველად, გადმოვა ჩვენკენ. . .

— უკაცრავოდ, სინიორე, არა ვსთამაშობ მე ჲ არც თუ ფული მაქუს,— უპასუხა მას ძიანა.

— ითამაშეთ იმის გულისათჳს, ვინც ეხლა შორს არი. ან მაინც იმისხნეთ: თუ თქუენ მოიგებთ, მშჳდობით დაბრუნდება ისი. ფულს ჩუენ გიშოვნით. ჩუენ ვეთამაშებით ამ სინიორს; ძალიან კულ-გაშლილია ეს ჲ დიდსული, რადგანც ქაღალდიც მოსდის. . . ჲ რა საკჳრველია რო უთუოდ გასესხებსთ თქუენ. . .

ცრუმ არნოლფო მდუმარებით მისცა მას ქისა. ძიანამ მადლობა მოახსენა მას ჲ მიიღო მონაწილეობა თამაშ-

ობაში, ჰფიქრობდა რა თჳსის თავდებობისათჳს. მარკიზმან დესალუს აღუწივა ქაღალდი. უცნობმან დაიჭირა საში-ნელი ქაღალდი. მარკიზმან იწყო შლა. მოთამაშეთა შო-რის დასდგა უჩულებრივი მდუმარება. ამ ქაღალდის გა-სვლაზე დამოკიდებული იყო სხვა ყოველთავე მათ, რომე-ლთაც ერთობ მარკიზთან ეჭირათ ბანკი. ამასობაში დო-ჯე განვიდა ოტტალესთან. გრაფინა გარინდებული ცა-ვად უმზერდა თამაშობას. ერთბამ გააჟრჟოლათ ყოველ-თა და მარკიზ აღსდგა და დაიძახა:

— ბატონებო, ბანკი წავაგეთ!

ყოველგნით გაისმა ყდავი-ყდუილი და ყვირილი. მოთამაშენი, რომელთაც წააგეს იყვნენ სასო-წარკუ-ვეთილებაში, იწყევლიდენ თავსა და ბედს; მომგებელნი სწრაფად აღკრეფდენ სტოლიდამ ოქროს. და ამ დროს უცებ გრაფინამ თვალი მოჰკრა რა დოჯეს ხმა-მაღლად დაიძახა:

— მოითმინეთ, ბატონებო! რესპუბლიკა სამაგელით სა-ხით მოტყუებულია. ეს ფულები ყალბებია!

— ყალბებია!— შეჰყვირეს ყოველთა უცნადებით გან-ცვიფრებით.

— არავინ დაიძრას ადგილიდამ! — დაიყვირა გრიმანი. — მასკები აიხადეთ! კარებთან დააყენეთ კაცები და არავინ გაუშვათ! გიბრძანებთ თქუენ ინკვიზიციის სახელით. დაუძახეთ ზარაფს ოკტალეს, რო გასინჯოს იმან ეს ფულები. თუ სწორედ ყალბი მანათები ურევია ამათში, და მნაშავე უნდა ვიპოვნოთ და თავი იმისი ეკუთვნის ინკვიზიციას.

მოვიდა ოკტალე. ჩასდგა ღრმა მდუმარება. ზარაფმან აღიღო რავდენიმე მანათი და იქავე სტოლზე მოხარა ისინი.

— ეს მანათები სულ ყალბებია! — სთქუა ოკტალე.

— ყალბებია! — დაიღრიალეს ყოველგნით.

— ვინ ათამაშა ეს ფულები? — ჰკითხა გრიმანი. — მგონია, გრაფინავ, თქუენ დაინახავდით.

— აი, იმ ქალმა ათამაშა, — უპასუხა გრაფინამ ანიშნა რა მაანა.

— მე!

— სწორედ, შენ. საიდამ მოიტანე შენ ეს ფულები?

— მე ქსენი მომცა. . . .

მაანამ მიიხედ-მოიხედა. . . . ყოველნი მასკები, ყო-

ველნი დომინოები იყვნენ ერთ-სახიანი. . . როგორ იცნას? და საიდუმლო უცნობი ისე შეიყვარა უკუე.

— წაიყვანეთ ეს ქალი,— სთქუა გრიმანი, და თქუენ შეაგროვეთ ოქრო.— განაგრძობდა ისი, მიუბრუნდა რა გუნდსა მხედართასა, რომელიცა შემოვიდა უკუე ზალასა. მოთამაშენი მისცვივდენ თავიანთ ფულებს, მხედარნი აღასრულებდენ ინკვიზიტორის ბრძანებას. შეიქნა ჩხუბი. მრავალთა მასკიანთა აღმოიღეს ჴმლები, ყვირილმა და უწესოებამ მიახწიეს უმაღლესს ხარისხადმდე. სტოლები გარდაქცეულ იყვნენ და ფულები ადგილზე მოფენილ. რავდენსამე წამს უკან მოთამაშეთა გუნდმან ჟღავილით აღირბინა კიბეზე, გარდმოჰყარა დარაჯა და გაიქცა.

ყოველივე ესე ესრედ სწრაფად იქმნა, რომე საფიას არა ჰქონდა დრო მოგებულიყო გონსა; მაგრამ როდესაც შინ დაიწყო მან ამაზე ლაპარაკი მარკიზ დესალუსთან, თჳთ მას თავ-ზარს სცემდა საქციელი თჳსი; თჳთ მას არა ეწმუნებოდა, რათამცა მანა ყოფილიყო დამნაშავე და მრწოლით ჰფიქრობდა ისა მათ შედგომილებათათჳს შესმენისა, რომელნიცა უნდა ყოფილიყვნენ უბა-

დრუკის ქალისათჳსცა დ~ მოხუცის ოტტალესათჳსცა დ~ თჳთ კადეტ დოჯესათჳსცა, რომელი ყოველთჳს სწყალობდა მათ დ~ დაიარებოდა კჳირად მათთან. ამასთანავე ვერ მიხჳდებოდა ისა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო უცნობი ისი, რომელმანცა, ჟამსა იჭჳნეულებისასა, მისცა მას ჴელში ესრედ ადვილი დ~ საზარელი საჭურველი.

— რაც უნდა ბრძანოთ, გრაფინავ, მე კი მგონია, რო კალიოსტრო უნდა იყოს ისი: სადაც ის კაცია, იქ ყოველივე უბედურება მოხდება იმის სიბოროტისა დ~ გესლისაგან.

— შეუძლებელი არ არი, მარკიზ: კალიოსტრო არ უნდა იყოს ვენეციაში; იმას ემებდა პოლიცია, დ~ რა საკჳრველია დაიმალებოდა. მადლობა ღმერთს, ახლა ის კაცი საშიში არღაა ჩემთჳს.

— ამ დროს იზმაილმან მიართვა გრაფინას ბარათი დ~ აღსთრთოლდა ისა, სცნა რა ჴელი წერილისა. ცივი ოფლი დაასხა მას სახეზე, ფერი მიეხადა მას დ~ მხოლოდ შეიძლოდა თვალით ნიშნება მარკიზისა, რათამცა მას აღედო ის ბარათი. დ~ მარკიზმან წარიკითხა საჩქაროდ დაწერილნი სიტყუანი ესე:

„დოჯე წარწყმდა, მშვენიერო საფია. გამოეშურე ჩემთან. შევიტყე მე რაც მომხდარა კაზინოში; ვიცი მხა-ჴუროებაცა საყვარელისა შენისა და სირცხვილიცა შენი, ალ ესსანდრო გატყუებდა შენ. ამ საგანზე შეგიძლიან გაც-ნობო მე შენ სწორე ამბავი. გონდოლა ჩემი გელის შენ ოხვრის ხიდთან, რადგანც არ მინდოდა მე შემდგა-რვიყავ შენს პალაცოსთან. ფუზინაში ჩავსხდებით ჩუ-ენ კარეტაში და წავალთ მილანს. ახლა მიგიწოდს შენ ბონა შენი და არდა პატონი. . . „

ბარათი იყო ველ-მოუწერელი, მაგრამ გრაფინამცა და მარკიზმანცა მაშინვე გამოიცნეს მწერალი მისი.

— ოჰ! ის ავაზაკი დამღუპავს მე! — შეჰყვირა გრაფი-ნამ. — პარიჟშიც მოსდევს ისი, რო აქ გამცემდეს მე ჟურ-ის გოგოზე. მაგრამ, ერთი სიტყუა რო გსთქუა, მაშა-ნვე ჩასმენ იმას საპყრობილეში.

— რას ბმანებ, რის მაქნისი პოლიციაა; კარგა ვიცან მე აქაური პოლიცია. პოლიციას კი თავი დაანებეთ და მე შუთვალეთ კალიოსტროს, რო მზად ხართ თქუენ იმის გასაყოლად და მოგიცადოთ. დანარჩენში მომენდეთ მე.

— და რასა იქი თქუჱნ?

— მაგას ესრლა არ გეტყჳ მე თქუჱნ, მაგრამ ფიქრი ნუ გაქუსთ; მხოლოდ დააწერეთ ზედ მაგ ბარათს: ასპე-ტტა, * და გაუგზავნეთ იზმაილის ჴელით. უბრძანეთ რო კარგა დაათვალიეროს იმან გონდოლა. აი, როგო-რი სათამაშოები მაქუს! ამაებით რისა უნდა ეშინოდეს დედა-კაცს გონდოლაში. — და უჩვენა მას წყვილი დამ-ბაჩა და ხანჯალი.

ეს-სახედ დარიგებულმან იზმაილ მოიტანა ამბავი, რომე: იცნობს ისი ორთავე მენავეთა; მგზავრი მოსილია სადღესასწაულოთა ტანისამოსით და ბადუტა და თავსა ხურავს დიაღ დიდი ბარიკი და სამ-კუთხიანი შლა-პა.

საათისა ერთს რუბს შემდეგ, მასკიანი ბანოვანი გა-ნიერით და გრძელით, თალხით დალმატიკათი ** გამოვი-და ამოლას პალაცცოდამ. მცირეს ხანს უკან იზმაილმან მიაშველა ჴელი და ჩასვა ისა გონდოლაში.

---

(*) ასპეტტა: მომიცადეთ.

(**) დალმატიკა: საერო სამოსელი.

ღამე იყო მშვენიერი. გონდოლა მკვირცხლად მისცურვიდა ფუზინას ნათელ-მოსილთა წყალთა ზედა ადრიატიკისათა. მენავენი მღეროდენ. ვენეცია გამოისახებოდა შორით ცას მარს, და მხიარულნი ცეცხლნი მისნი შუქავდენ წყალსა. სიხარულით აღტაცებული კალიოსტრო ულიკლიკებდა სიყვარულსა თვისსა მშვენიერსა საფიას და აღუწერდა მას შექცევათა მათ, რომელნი მიელოდებოდენ გრაფინას პარიჟში. გრაფინა მრთელსა ამას დროსა მდუმარებდა, და დუმილი ესე არა განაცვიფრებდა კალიოსტროს, რადგანაც ჰგონებდა ისი, ვითომც სტიროდა ისა. რა საკვირველია, მისთვის საწუხარი იყო დატევება ვენეციისა, სადა, შეგვიძლიან ვსთქვათ, დედოფლობდა ისა და განატარა ებოდენ ბედნიერნი დღენი და სადაცა დაუტევა მან კაცი, რომელი განგრძობასა შინა ესოდენთა წელთასა ესრეთით ტრფიალებით უყვარდა მას. გრაფი გესლიანით სიამოვნით დაამტკიცებდა, რომე დოჯემ უღალატა მას და მზაკვრად მოაცთუნებდა მას ისი (დოჯე). გრაფინა ჴმას არ იღებდა.

კალიოსტრომ დახედა საათს და სთქვა:

— ორი საათია! ამასთანავე ბნელი ღამეა და ამ ტან-

ისამოსში, რა საკჳრველია, ვერავინ მიცნობს მე ფუზინის სახმელეთოს საბაჟოზე.

მოიხსნა მან თჳსაგან ბალდუტა და პარიკი, დაჰფარა ისანი გონდოლის ბალიშებ ქვეშ და განსცხადდა მოსილი უკანასკნელის ვერსალურის ჩვეულებისამებრ.

— თქუენს სასიამოვნოდ, მშვენიერო საფია, მოვირთე მე როგორც თქუენი სიჯიზბეი * მარკიზ დესალუს. თუ გნებავს, დავიჩლუნვებ მეც იმისავით ენას, მოვისვრი ცხვარს ისპანურით ბურნუთით და ჩამოუვლი თუნდ ფრანცუზულს ცეკოებსაც. რა სასაცილო კაცია! — და განიხარხარა მან. — ვშიშობ კიდეც რო თავი არ დაიხრჩოს წყალში, რომელსაც შეატყობს თქუენს დაკარგვას. როგორღაც მალიან მონარნარობა დაიწყო ეხლა იმან, სწორედ ამადისია... იმისი გზაც იქით არი. უბრალო კაცია, ქარი-თვანტია და ყოველთჳს კმა-ყოფილი თავის თავისაგან...

გრაფინას ადუტულა ხველა. კალიოსტრომ უთავაზა

---

(*) სიჯიზბეი: მეგობარი ქმრისა და საყვარელი ცოლისა.

მას თჳსა კოლოფა ხვულის წამლითურთ. ამ დროს გა-მოჩნდა ფუზინა. ეიგურმან დასძახა გონდოლას და მსწრაფლ მენავენი მიადგნენ კიდესა.

— სადით მობძანდებით? — ჰკითხა რიგის აფიცარმან.

— მილანს.

— ვინ მიგყვებით?

— ცოლი.

— ყაშვორთოდ?

— ჰო, ბაშვორთი.

და კალიოსტრომ მისცა მას ბაშვორთი მარკიზ დე-სალუსისა, რომელიცა კაზანოვას წაერთო, რომლისაცა ის ესხა მან ფული მისი და ძვირფასნი ნივთნი, და მასვე სა დაწოსა მიეყიდნა გრაფისათჳს.

აფიცარმან შეიწყნარნა წარწერები, თვალყური წარიკითხა მან ბაშვორთი და მას-უკან უბრძანა ხმარესს:— დაი-წყეთ ონდება.

კალიოსტრომ აღმოიდო ქუდი, მაგრამ წუთსავე წა-რსტაცეს მას ის და შეჰყრეს. გრაფინა გულ-გრილად დაეწყობინა ხმარეს და აღიხადა თჳსაგან დილმაცეგა და მასცა.

— მარკიზ! — დაიყვირა ზარ-განხდილმან კალიოსტრო.

— განდავარ თქუენს სამსახურში, უსაყვარელესო გრაფო. დიდად გმადლობ ჩემის მოტაცებისათვის; გაიხარჯეთ კი ეგ მაშორეთ ჩემი ბაშოვართა.

— ეგ ვინ შეგასმინა შე. — ჰკითხა კალიოსტრომ.

— ერთმა მეგობართა თქუენთაგანმა, თქუენო ბრწყინვალებავ. ეგ ან კი ვინ უნდა შეგვასმინოთ, თუ არ მეგობრებმა! თქუენ, მგონია დიდად მეგობრობით სიონით კაზარნავა დეკუენბელს. ხოლო იმან მოგვართო თქუენ მარკიზის ბაშოვართა; ჩვენც იმანვე გვაცნობა რო თქუენ განიზრახავთ ვერცერიდამ გასწლას სხვის ბაშოვართა. ეგ ჩვენ იგე მგვარად გადვასწრეთ თქუენს აქ ყოფნას, რო არას გზით არ გაგიშვებთ, ეგ მესრულე გრ იმანიმაც მოგვიზიდათ კიდეც თქუენ სადგომი „ლეუვის ქვეშ“.

კალიოსტრო იყო გარე თავისა თჳსისა გულისწყრომისაგან; მარკიზ ხმითა მაღლითა ხარხარობდა. გრაფი წარიყვანეს საპყრობილეე ეგ მარკიზმანცა გმა-ყოფილებით განაცილა ისი. რომდესაც მაგრამარი ბოიყვ-

ანეს საპყრობილეს და კარი ფრიად მდაბლისა და ვიწროსა სენაკისა მისისა შეაღეს, მას შინა სჯდა კაცი მასკიანი და ბადრუკათი მოსილი, რომელმან, რა დაინახა კალიოსტრო, განიხარხარა, აღსდგა და მართებულად თავი დაუკრა მას.

— კაზანოვა! — შეჰყვირა კალიოსტრო.

— მობძანდით, გრაფო.

საპყრობილეში მყოფთა რა საქმე აქვსთ, გარდა საუბრისა. პატიოსანთა მეგობართა იწყეს უბნობა, და ამ სახით სცნა კალიოსტრომ, თუ რასათჳს კაზანოვამ მოიპატიჟა ის თჳსთან. გრაფმან კელ-ჰყო რა აღრინდელს კელობასა თჳსსა, ეახლა დოხტურის სახით მკელს მოარჩიეეს გრიმანის ცოლს და მიართვა მას სასწაულიანი წყალი თჳსი, რომლისაგანცა ხნიერი ჭაბუკდების. ისარგებლა რა ამ შემთხვევით, მოიპარა მან ინკვიზიტორის წიგნთ-საცავისაგან ის საიდუმლო წიგნი, რომელზედაცა მოილაპარაკა მან წინადვე კაზანოვასთან. მას შინა ჰპოვა მან აღწერა მის ადგილისა, სადაცა დამარხულ იყო ხაზინა, და გამოხივა ის ფურცელი წიგნისაგან. და ამ სახით სცნა მან, რომე ის ყალბნი მანათენი მო

ჭრელი იყვნენ, დროსა პადუას პოდესტას მარკო რინიო-სასა, ვენეციის მცხოვრებნის დომინიკე კამელასაგან, და განსაცჳფრებელით ჴელოვნებით მიმსგავსებულ ნამდვი-ლთადმი, ესრეთ რომე, მხოლოდ ოტტალეს განადა შე-ეძლო განრჩევა მათი. ფურლები შეკრებილ იყჳნენ და ინ-კვიზიციის ბრძანებით დამარხულ მიწაში. თჳთ ოტტალე-ემ უწყოდა მხოლოდ ჟამსა ცხად-ხილვისასა * ( კლარ-ვოიანს ), რომე ის ხაზინა იყო მისს სახლში. ისარგებლა რა გამოჩენითა ამით, კალოსტრო გნინდა არა მიემთხ-ვივა აღსრულებასა ყოველთა წადილთა თჳსთასა: წარ-სწუმედდა ისი დოჯეს და მოიწოდა საფიას, უკეთუ-მცა მარკიზს და კაზანოვას არა შეეყენებინესთ ისი ფრი-ად მახლობელს მანძილზე განზრახვისა მისისაგან.

თჳთ მას დროს, რომელსაც ფიცხელად ამტყუნებდენ ისინი და ჰყვედრიდენ ერთი მეორესა, კლიტეებმა დაიღ-რჭიალეს, კარი განეღო და შემოვიდა გრიმანი.

---

( * ) ( კლარ-ვოიანს ) ცხად-ხილვა: უმაღლესი ხარისხი მაგნეტიზმის ძილისა, რომელსაც ყოველსავე ცხადად და-ინახავს და წარმოსთქმის ძილში მყოფი.

— მომიტევეთ, ბატონებო, — სთქჳა მან, — რო გავს-წყვეტ მე თქჳენს მეგობრულს საუბარს. კარგად ვიცი, რო თქჳენთჳს სასიამოვნოა ერთად ყოფნა; მაგრამ, ჩემს საწუხრად, მივიღე მე ბძანება თქჳენის დაშორებისა-თჳს. მართებლობამ იცის, რო სინიორ კაზანოვა დესეი-ნგალტ ველოვანია საპყრობილიდამ გაპარვისა, ასე რო, ერთხელ გაქცეულა კიდევ ტყვის ქვეშედგან. ამისთჳს გარჩიეთ ჩჳენ დაგაყენოთ „ჭების ქვეშ“ . . . მაგრამ, მხოლოდ ერთის ღამეს; ხვალ თქჳენი საქმე გარდასწ-ყდება. თქჳენ კი, გრაფო, შეგხჳდებათ მომატებული ჯდომა. თქჳენი საქმე სისხლის სამართალს ეკუთვნის. თქჳენს გონდოლაში, ფუზინაში, უპოვნიათ მრავალი მა-ნათები, სწორედ ისეთნი, როგორნიც ვიდასაც ეთამაშ-ებიან კაზინოში. სხვერ, ამაზე მოილაპარაკებს თქჳენთ-ან სამსჯავრო სამთა.

შესაპყრობილეშ გამოიყჳანა კაზანოვა და მის მაგიერ შეიყვანა კაცი ვინმე მოსილი ჩვეულებრივით ტან-საცმე-ლით ვენეციელთა არხივარიუსთა გინა წერილთ-მცველ-თა.

— იცნობთ თქჳენ ამ სინიორს? — ჰკითხა გრიმანი კა-

ლოსტროს.

— არა,— მიუგო გრაფმან, უკადრისად შეხედევდა რა კაცსა მას;

— მაგრამ, მელნის ზინზლით მურალის ამ ტანისამოსით, ამ დაგრეხილით თითებით, ამ ზარდანჩოს ფერით და გახუშილით ცხვირ-პირით ჩანს რო ეს უნდა ბძანდებოდეს წერილთა-მცველი. მართლად, ვერ მიმხჳდარვარ, მესიურ გრიმანი, როგორ არა გრცხვენისთ თქვენ ჩემის დამწუხდევისათვის ამისთანა კაცებთან.

ახალმან პატიმარმან არა საჭიროდ რაცხა პასუხის-გება ესრეთის განკიცხვაზე და მუდროებით მისჯდა კუთხეში, ვით კაცი, გრძელით ჟამით თავ-მდაბლად ჩვეული სასამართლოს გარდაწყვეტილების მორჩილებისა.

გრიმანის განსვლის შემდეგ პყრობილნი მოუვარეამ მდუმარებდენ, როგორც უცნობნი კაცნი, რომელნიცა ეკრძალებიან ურთიერთსა. დასასრულ წერილთ-მცველმან სიფრთხილით აღმოიღო ჯიბიდამ დაბეჭდილი პაკეტი, აღანთო კანდელზე წმინდა სანთელი და კმა-მდაბლად წარიკითხა პაკეტის ზედა წარწერა: ,,ჩემის სიკვდილის შემდგომ მიეცეს გრაფინა ამალიას.,, და ჩაფიქრდა:

ამ სახელის გაგონებაზე კალიოსტროს ტანში დაუარა ჟრუანტელმა. განიღიმა მან და მლიქვნელით ენით უთხრა მას:

— რამ ჩაგაფიქრათ აგრე? თქჳენც ხომ ჩვენსავით არ იტანჯებით იმ სამაგელის არნოლდფოს გულისათვის, რომელმაც მოჰფინა ვენეციაში იმისთანა საოცარი ფულები? გაგიტყდები მე თქჳენ, არ მიყვარს მე თქჳენი მოქმეები, მაგრამ თქჳენი ზარის-სახე შემარიგებს მე თქჳენს ტანის-სამოსს. ხრულებით დარწმუნებული ვარ, რომ თქჳენ მართალი სული უნდა იყოთ.

წერილთ-მცველმან დააშტერა თვალები გრაფს და იჩვენებოდა რომე, სახე კალიოსტროსი ეჩვენა მას უკეთილ-სულიერესად: ცბიერი მანქანი ჴელოვან იყო მადლებ-ად ყოველთა შესაძლოთა სახის ცვლილებათა.

— გაგიტყდები მე თქჳენ, სინიორე, — სთქჳა წერილთ-მცველმან, — საკჳაოდ საოცარს მდგომარეობაში გახლავარ მე. გუშინდამ მიმიწოდა მე უცხოამ ოტყალე და მომცა შესანახავად ეს პაკეტი ერთის გრაფინის სახელზე. თუმცა მე არ ვიცნობ იმ ქალს, მაგრამ იმისი სახელი განთქმულია მთელს ვენეციაში. ღმერთმა დამიფაროს მე

გავხსნა სხვის პაკეტი; მაგრამ ის ურია ეხლა დაჭერილია და, ვინ იცის, იქნება დამღუპოს მე იმის ქაღალდებმა. როგორ გგონიათ თქვენ?

— მე ისე მგონია, რომ უთუოდ უნდა ნახოთ რა არი მაგაში. . . თუ თქვენთვის არა, გრაფინა ამოლასათვის მაინც. რა დამოკიდებულება აქვს იმას ურიებთან? და თუ შეინახოთ თქვენ ეგ ქაღალდები, იქნება მაგითი შეიყვანოთ თქვენ გრაფინა განსაცდელში, და, იცით თუ არა, ძლიერი დედა-კაცია ისა, თითონ გამოიხლართება და თქვენ კი წაგახდენს.

— ვინ ბძანდებით თქვენ, სინიორე?

— მე გახლავარ მეგობარი ამოლა გრაფინასი, ერთი მათ მოთამაშეთაგანი, რომელნიც შეასმინა გრაფინამ. რა დგანც მასკით ვიყავ მე, ამისთვის ვერ მიცნო მე იმან, თორე, რა საკვირველია, ამას არ იქმოდა ისა.

— და რა სამართალი მიმიძღვის მე სხვის პაკეტის გახსნისა? არ შემიძლიან.

— მაგრამ კი ესეც იფიქრეთ: ურიები განსჯილი არიან განძევებად, და ამაზე დეკრეტის (ბრძანების) გამოცხადების წინ, წინა-დამეს ერთი იმათგანი გარწმუნებს თქ-

ჩუენ საიდუმლოს პაკეტს. სინიდისით, არა თუ შეგიძლიანთ, ვალდებულ ხართცა თქუენ გახსნათ ეგე. რესპუბლიკის სარგებლობისათჳს. ნება დამრთეთ ვნახო ეგ პაკეტი.

მინდობილმან წერილთ-მცველმან მისცა მას პაკეტი და კალიოსტრომ მაშინვე ახსნა ბეჭედი, ესრედ სწრაფუად, რომ ვერცაღა მოასწრო მან დაბრკოლება მისი.

— ებრაულს ენაზეა! — სთქუა მან.

— არ ვიცი მე ებრაული, — სთქუა წერილთ-მცველმან; — განა გრაფინამ კი იცის?

— იქნება იცოდეს, — უპასუხა ძლიერ დელვილმან კალიოსტრომ, თუალს ჩაავლებდა რა მას ქაღალდსა. . . — რაც უნდა იყოს, ახლა თავის-უფალნი ვართ ჩუენ; ეს ქაღალდი დასაღუპავია, მაგრამ არა ჩემთჳს და თქუენთჳს.

— რა არის აგეთი?

— ხვალ შეიტყობთ.

შემოზღუდვილი, განა, უმჯობეს ვსთქუ, დევნილი პატრიკიოსთაგან, ალექსანდრო უკ-მოიქცა კაზინოთ სასახლედ: მისცა მან მათ სიტყუა, ჰპოვოს და დასაჯოს

სჯულის გარდამავალი ისი, რომელმანცა მოატყუა ისინი. მაგრამ სად ჰპოვოს მან წყეული ისი ურია დავით გრუსს? დოჟე სასო-წარკვეთილ იყო. ოტტალე და მიანა ეგრეთვე იყვნენ საპყრობილეში. ისარგებლა რა დანაშთენითა ჟამითა ჴელმწიფებისა თჳსისათა, დოჟემ მოაყვანინა ისინი თჳსდამი. მაგრამ სამწუხაროდ უბნობამ მათთანა ვერა რაჲმე აცნობა მას. თჳთ ოტტალემ არა რაჲ უწყოდა, ვერ იგულხმებდა თუ როგორ გამოსჩნდეს მისს სახლში ის ყალბნი ფულები; არ იცოდა, თუ საიდამ მოვიდა და საით წავიდა დავით გრუსს.

დასასრულ სთქუა დოჟემ:

— ოტტალე! იმათ აღმატებულებათ, საჴელმწიფოს ინკვიზიტორთ მთხოვეს მე მოველოდებოდე იმათ აქ. არ არი კარგი თუ თქუენ აქა გნახვენ ისინი. წადით აქედამ. ვუბრძანებ მე გაგაცილონ თქუენ უშიშარს ადგილს, სადაც ვერავინ შეგაწუხოს თქუენ.

— ინკვიზიტორები! ნუ თუ გაბედვენ ისინი ჰკითხონ დოჟეს!

— გაბედვენ თუ ვერა, ოტტალე, ჩუენ კიდევ ვნახავთ ერთმანერთს. გაუფრთხილდი მიანას, — სთქუა მან კმა-

მდაბლად. — თუ დავით გრუზის ამბავს რასამე შევიტყობ მე, მაშინვე გაცნობებ შენ.

უხმო მან აფიცარს და უბრძანა მას, თუ სად წაიყვანონ ოტტალე და მიანა. ამისა შემდგომ, რავდენსამე წამს უკან შემოვიდენ ინკვიზიტორნი. ისინი იყვნენ სამნი. პატივის-ცემით თავი დაუკრეს მათ დოჯეს და დასხდნენ.

— სთქჳთ, სინიორენო, — სთქჳა ალექსანდრო. — დოჯე მზაა სმენად. უთუოდ გაქჳსთ თქჳენ იმასთან სათხოვარი რამე?

— ნება დამრთეთ მოვახსენო თქჳენს უგანათლებულესობას, რო ინკვიზიცია ბრძანებს და არა ითხოვს, — უპასუხა გრიმანი.

— და წარმოსთქჳამს გარდაწყვეტილებათა, რომელთა ზედაცა არღა შეიძლება სხჳაგან სადამე ჩივილი, — დასძინა მოჩენიგო.

— უნდა მოვიხმაროთ ჩჳენ ყოველი შესაძლო ღონის ძიება, ცნობისათჳს ჭეშმარიტებისა, — სთქჳა ტრევიზანი.

— სინიორენო, თქჳენზე უმეცარესი არა ვარ ინკვიზი-

ციის ძალის ცნობაში, გრილად უთხრა მათ დონჯე,— ვიცი, რო სამთა სამსჯავროს შეუძლიან მოკჳლაცა დონჯესი. ახლა სთქვით: რა გნებავს თქჳენ ჩემგან?

— ჩჳენ უნდა გამოვსთხოვოთ თქჳენს უგანათლებულესობას მკაცრი ანგარიში არა შესაფერისა, არა სამართლიანისა მფარველობისათჳს, რომელსაცა აღმოუჩენდით თქჳენ ურიას ოტტალეს და იმის ასულს. ამ ურიის სახლში დაფარულ იყვნენ ყალბნი ფულები. მესსერ გრიმანის ჰქონდა წიგნი, რომელშიც იჩვენებიას, თუ სადა სახელდობ დამარხულ იყვნენ მიწაში ფულები ორასის წლის წინ. ის წიგნი მოჰპარეს იმას. ვიცით ჩჳენ, რო კმირად ბძანდებოდით ხოლმე თქჳენ ოტტალეს სახლში. არავინ გინახავსთ თქჳენ იქ? არ იცნობთ თქჳენ იმ სჯულის-გარდამავალს, რომელსაც ვეძებთ ჩჳენ? უკეთუ იცნობთ, მაშა ვალდებულ ხართ გამოაცხადოთ თქჳენ იმის სახელი.

— მინახავს მე ოტტალესას მხოლოდ ერთი კაცი, ურია დავით გრუსს.

— აქამომდე ინკვიზიციამ ვერ მიაგნო კჳალი იმ კაცისა. ამოლა გრაფინამ არცა თუ სახელი იცის იმისი, თუ-

მცადა იმან გამოაცხადა დამაშაულობა. . .

— იმან! . . — დაიყვირა დოჯე მწარით ღიმილით. — იმან დასწამა ცილი უუწმიდესსა, წმიდასა სათნოებასა!

— ჩუენი საქმე არ არი განვიხილავდეთ მაიძულებელთა მიზეზთა გრაფინას მოქმედებისათა. ხო არ უთქვამს თქუენთჳს რომლისმე ებრაელს, რო დამარხული იყო იმის სახლში ხაზინა?

— არ უთქუამს. და სრულიად დარწმუნებულიცა ვარ, რო არ იცოდა იმან იმისი იქ ყოფა.

— ახლა უნდა გაუწყოთ თქუენ გარემოება, რომელიც არ იცით თქუენ. ფუზინაში დაჭერილია გრაფი ვინმე კალიოსტრო. იმას გამოსჩენია მრავალი იმისთანა მანათები, რომელნიც ათამაშებს კაზინოში. იმ კაცს სწადს თქუენი ნახვა. დაგვიბარა ჩუენ იმან საპყრობილეში და გვითხრა, რო იცის იმან დამნაშავე, მაგრამ სხუას ვერავის გამოვუცხადებო იმის სახელს, გარდა დოჯესა.

— კალიოსტრო! — წარმოიძახა დიდად განცჳფრებულმან დოჯემ. და მასუკან ჩუმად წარსთქუა მან: — ოჰ! ახლა კი დავდუმე.

— მოიმედენი თქუენის კეთილ-შობილებისა და მართლ-სულობისა, ჩუენ თანა-ჴმა ვართ, რათამცა თქუენ გამოჰკითხოთ მას; მაგრამ შემოგვფიცეთ წინაშე წმიდისა ამის ჯუარისა, რო არ დაჰფაროთ თქუენ ჩუენგან სახელი დამნაშავესი თუკადა კალიოსტრომ შეასმინოს ოტტალე ან იმისი ასული.

— გფიცავ!

— მოიყვანეთ ის პატიმარი, რომელიც არი მეორეს ნომერში ,,ტყვიის ქვეში,,.— უბრძანა გრიმარი კართან მდგომარეს სპირს. მასუკან მიუბრუნდა ისი დოჯეს და უთხრა:— თქუენო უგანათლებულესობავ, ჩუენ გამლევთ თქუენ პაემნად მხოლოდ ერთს საათს.

ინკვიზიტორნი რიგ-რიგ გამოვიდენ. მასვე ჟამსა სპირმან მოიყვანა კაცი ბინიშიანი; დოჯემ დახშა კარი და ახადა კანდელს სახურავი, თითქოს მისთჳს, რათამცა უმჯობეს განესინჯა სახე ამ საოცარის კაცისა.

-- კალიოსტრო! კიდევ ვენეციაში ხართ თქუენ და კიდევაც საპყრობილეში!

ცივმან, საოცარმან ღიმილმან შეუთრთოლა ბაგენი კალიოსტროს. ალექსანდრო მოიცო შიშროენამ: სახე

ესე არა ერთ-გზის მოელანდებოდა მას განუსვენებელთა ძილთა შინა თჳსთა და აწ სდგა ისი მის წინ ცხადად, თამამად და თითქმის მოქადულად.

— რა გნებავდათ სათქმელად? სთქჳთ, მაგრამ ჩქარა.

— მზად გახლავარ მე თქჳენის ნების აღსრულებისათჳს, — სთქჳა კალიოსტრომ ესრეთითი ჴმით, რომე ალექსანდროს გააჟრჟოლა: სცნა მან რა ჴმა დავით გრუსისა.

— სულო ბოროტო და გესლიანო მზაკჳარო! — დაუყვირა მას დოჯე, — შენ იმასხარავე ჩემზე და ახლა მოხვალ ჩემს სავედრებელად?

— სჯულის-გარდამავალისათჳს საჭირო არ არის ევედრებოდეს თავის თანა-ზიარს.

— და განჰკადნიერდებიცა შენ შენს ამხანაგად მხადოდე მე!

— და რასათჳს არა? აქ ორი კაცია, რომელნიც, სჯულთამებრ ვენეციისათა, ექვემდებარებიან სასჯელსა: ერთი სთამაშობდა ვენეციის ფულებით, მეორემ წარაგო ვენეცია. დიაღ აღვიარებ, მე ვარ დავით გრუსს, მაგრამ

თქჳჱნ ალექსანდრო სენატორი, პატრიკიოსი, დაქორწინებული ტყვეზე. აი წერილიცა დამამტკიცებელი რომე საფია, თქჳჱნი გრაფინა ამოლა, ნასყიდია ჩემგან. და მე თუ მეწვევის სვე ყალბის მანათების მჭრელის დომანიკე კამელასი, მაშა ორნივე თქჳჱნ ვერ დაეხრწევით სვეჲსა რანჟუმისასა.

— და ჰფიქრობდა შენ შემაშინებდე მე? რა საქმე მაქჳს მე გრაფინასთან, საძაგელს შემასმენელს საფიასთან, შენს ღირსეულს მოწაფესთან! . . . შეგვასმინე ორნივე ჩჳჱნ, და უტევე საერთომ სასჯელმან დახსნას ის კავშირი, რომელიცა დაწესდებოდა ჩჳჱნ შორის მხოლოდ ჯოჯოხეთის შთაგონებითა.

— საუცხოვოა! მაგრამ სვე რანჟუმისა გეწევისთ არა მხოლოდ თქჳჱნ ორთა. კიდევ სხჳა წერილიცა მაქჳს მე: აი, ეს ქაღალდი ებრაულს ენაზე, რომელიც ოტცალემ მაარარა შესანახავად წერილთ-მცველს ბერნარდის. დახედეთ მხოლოდ ამ სახელს, ვისაც შეეხება ესე და რომელიც ებრეთვე ვერ იხსნების სასჯელისაგან.

თავზარ-დაცემულმან მის ქაქალდის განცდით დოჯე დაიძახა სასო-წარკვეთილებით:

— ოჰ, ღმერთო!

— ალექსანდრო! — სთქვა კალიოსტრო გესლიანის ღიმილით: — თქვენ უგულებელ მყოფდით მე პარიჟში და ახლა თქვენ სძრწით ჩემ წინ ვენეციაში. ნუ დაივიწყებთ, რო თქვენ მიმტაცეთ მე დედა-კაცი, რომელიც ყოველთა სამართალთა მებრ მეკუთვნიდა მე. ახლა მე და გიმტკიცე თქვენ, რო უკეთუ იტყვით თქვენ სიტყვასაცა ერთსა ჩემ სავნებელად სამსჯავროში, მაშინ წარსწყმედთ თავსა თქვენსა, საფიას და კიდევ ქალსაცა ერთსა. შეგიძლიანთ თქვენ გაამტყუნოთ, ან თქვენი თავი ან მე. ყოველსავე შემთხვევაში მოჰკვდებით თქვენ: სასჯელი მიელოდების ან დოჟეს, ან საფიას ქმარს. ამისთჳს, განმათავისუფლეთ მე და მეც დავხევ ამ ქაღალდებს, რომელთაც შეუძლიანთ მოკვლა ორთა, თქვენთჳს მძირფისთა, გვამთა; ან, თუ გნებავსთ, მიეცით მართლ-მსაჯულებას ისი, ვინც წარიტაცა გეტტოში რესპუბლიკის ხაზინა და მე. მივსცემ დოჟეს. . .

დოჟე გაშეშდა: ჟოჟოხეთებრივი გულ-გრილობა იგი, რომლითაც ბოროტი ისი წინა-დაუდებდა მას ესრედ საშინელსა პირობასა, შეაძრწუნებდა მას. ალექსან-

დრო უმზერდა კალიოსტროს, ვით დონ-ჟუან კერპსა კომანდორისასა. მერმედ ხელი დაიდვა მან გულსა შესამაგრებულად ცემისა მისისა და უთხრა:

— განსვენებით იყავ შენ: მივსცემ მე სჯულის-გარდამავალს, მაგრამ არა შენ.

— მაშ ვის?

— მე ვიცი ვისაც.

— შემოიფიცეთ.

დოჯემ განიშვირა ხელი ჯვარ-ცმაზე და სთქვა:

— გეფიცები წინაშე წმიდისა სახისა მისისა, რომელიცა ოდესმე განგვსჯის მეცა და შენცა.

— კარგი. მაშ აი ნასყიდობის წერილიცა საფიასი, აი ქაღალდიცა ოტტალესი.

— მღივს!— გულის-ფანცქალით წარმოიძახა ალექსანდრომ, გამოსტაცა მას ქაღალდები და დასწვა კანდელზე.

კალიოსტრო ფეხს არ მოიცვლიდა ადგილიდამ. დოჯემ უთხრა მას: ცოტას ხანს უკან დავიბარებ მე ინკვიზიტორებს. დაიმალე შენ ამ სენაკში: ყოველსავე გაიგონებ, რასაც ვილაპარაკებ მე. . . იქიდამ არი გასავალი

პირდაპით დერეფანში. . .

განაცალა რა კალიოსტრო, ალექსანდრომ აღახუნა თვალნი ცად მიმართ და სთქუა:— ძიანა! მე გიხსენ შენ!

დარეკა მან ზარი: შემოვიდა ერთი აფიცართა მისთაგანი, თჳთ ისი, რომელმანცა განაცილა ოტტალე და ძიანა.

— რა ამბავი იცი, ანდრეა?

მუნჯი წმიდის ანგელოსის ჯალაკიდამ აქ გახლავს, თქუენო უგანათლებულესობავ. თქუენის ბძანებისა მებრ მოუმზადებია იმას სმირნულს ხომალდზე ადგილი ოტტალესა და იმ ქალისათჳს; თავისი გონდოლაც ოხვრის ხიდთან დაუყენებია.

— კარგი. დაუძახე აქ მუნჯს და მოიყვანე ოტტალე და ძიანა.

აფიცარი გამოვიდა და წარმოგზავნა აზისხანელი. რა შემოვიდა ისი ოთახსა, მიწადმდე თავი დაუკრა.

— ორსატო, მიიღე შენ ჩემი წიგნი?— ჰკითხა დოჟე.

მუნჯმა მიართვა მას ის წერილი.

— მაშ იცი შენ თუ როგორი საშიშარი საქმეს მოგან-

დობ მე შენ?

აბისსინელმან განიღიმა და ანიშნა თჳსსა ხანჯალზე.

— ორსატო! შენ განსჯილ იყავ სჯულიერისა და საშინელისა სატანჯველისათჳს. მე გიხსენ შენ. ახლა მე გარწმუნებ შენ იმას, რაც ძვირ-ფასია ჩემთჳს ქჳეყანაზე.

აბისსინელმა თავი დაუკრა, დაიდვა ჴელი გულსა და მერმე ანიშნა მას ცაზე.

— კარგი. მშჳდ იყავ.

ანდრეამ მოიყვანა ოტტალე და მიანა. ახლა მიანა არღა სტიროდა: მშვენიერნი თვალნი მისნი ჟუჟუნებდენ მხიარულად.

დოჯემ დაიხარა თავი და უთხრა ოტტალეს ყურში.

— ახლა კი დავიღუპე. ერთის ჩემს მტერს ჩავარდნია ჴელში ის ქაღალდი, რომელიც შენ მიაბარე წერილთ-მცველს ბერნარდის. ახლა, გამიგონე: ორსატო წაგიყვანსთ თქჳენ ორსავე უშიშარს ადგილს, და მე მოველაპარაკებ ინკვიზიტორებთან. ოტტალე, შენ თითონ იცი, როგორ მიყვარხარ შენ. . . მე გარწმუნებ შენ მიანას ზე

დრიერენას. თავის-უფალი ხარ შენ.

— თავის-უფალი ვარ? და ვიდაა დამნაშავე

— საიდუმლოა ეგე ინკვიზიციისა. შენ იცი რო იმას აქ ჰქს სრული და განუსაზღვრელი ხელმწიფება. თავის-უფალი ხარ, მაგრამ არ შეიძლება კი შენი ვენეციაში ყოფა. გაჰყევ ლორსატოს და დარწმუნებული იყავ, რო სრულებით გაგამართლებ მე შენ სამთა სამსჯავროში.

დოჯემ დახედა საათს: ისარი მიეახლოებოდა დასასრულსა დანიშნულისა ჟამისასა. ხელი მოუჭირა მან მიანას ხელზე და ცრემლნი მწარენი გადმოსცვივდნენ თვალთაგან მისთა. მიანა გოდებდა და ვერ მალიდო წარმოთქმად ვერცადა ერთისა ლექსისა. ალექსანდრომ უკანასკნელ ამბორს-უყო მას მშვენიერს შუბლზე და გამოესალმა.

— წავიდეს ესა, მე კიდევ მოვასწრობ, — სთქვა ოტტალე:— მე მიმიძღვის სამართალი, მე მინდა, მე უნდა ვიყო სამსჯავროს საიდუმლოს კრებაში. . .

— უნდა დამმორჩილდე შენ მე, ოტტალე. . .

ამ დროს მახლობელს ოთახში გაისმა ფეხის ხმა.

— მოდიან! . . . გესმის!— სთქვა დოჯე. მასუკან

უთხრა რამდენიმე სიტყვა მუნჯს; მან აღიტაცა მაანა, და, თითქმის გრძნობა მიხდილი, გააქცივა თვისსა გონდოლასა.

— ნაწილი მსხვერპლისა აღსრულდა! — სთქვა დოჯე არა მომშორებულმან თვალთა კარებითგან, საიდამცა განიტანეს მაანა. — ახლა უნდა შევასრულო დანაშთენიცა.

რა მობრუნდა, მის წინ სდგა ოტტალე.

— პირველჯერ ჩემს სიცოცხლეში გარდავხედ მე თქვენს ბძანებას. სმირნულს ხომალდს ერთს საათამდინ კიდევ დაუგვიანდება წასვლა. — უთხრა მას ებრაელმან.

რომელსაც შემოვიდენ ინკვიზიტორნი, სახე ალექსანდროსი იყო მშვიდობიან და დიადურ. მხართა ესხა უკვე მას ფარჩისა ქლამინდი, თავსა ეხურა კორონა, განსხვაებითი ნიში ეს დოჯეობრივის ღირსებისა.

— პატივის-ცემისა გამო რჩეულთადმი ათთა სამსჯავროსათა, — სთქვა მან, — დოჯე არ უნდა დაივიწყებდეს კელმწიფურთა მართებულებათა. თანა-მაძს მე გაპასუხო თქვენ დოჯეს სამოსელში, მზა ვარ.

— ჯერ პირველად უნდა გაიყვანონ ეს ურია აქედამ.

ინკვიზიციის კანონთა მიერ არ შეუძლიან ამას აქ დასწრება. — სთქუა გრიმანი.

— გეფიცები მე თქუენ, მართალი სჯულია ეს ამ საქმეში,— სთქუა დოჯე ფიცხელად.

— მაინც კი ჯერ არ შეგვიძლიან ჩუენ ამისი განთავისუფლება.

— და მაშინ ხომ შეიწყალებთ თქუენ ამ მოხუცებულის სიცოცხლეს, რომელსაც სცნობთ ნამდვილს დამნაშავეს?

ამ კითხვაზე ინკვიზიტორებმა მოილაპარაკეს ერთმანეთში ჩურჩულით და სთქუეს სამთავე:

— დიაღ, შევიწყალებთ ამის სიცოცხლეს და გეფიცებით კიდეც ამაში; მანამდისინ კი უნდა დარჩეს ეს რჩევის ზალაში.

— თქუენო უგანათლებულესობავ! . . . ჴმა ჰყო ოქტალე მავედრებელით სახით, განუპყრობდა რა დოჯეს ჴელთა.

ალექსანდრომ განამხნო ოქტალე მხიარულით შეხედვით და ორთა სიტყვითა გამოიყუანეს ისი. მასუკან დოჯემ უთხრა ინკვიზიტორებს:

— სანიორენო, დამნაშავეა პატრიციოს.

— ვინც უნდა იყოს, უნდა გამოგვიცხადოთ თქვენ იმისი სახელი.

— დიაღ, გამოვაცხადებ მე სახელს და შეკრთებით თქვენ; მაგრამ წინად მომისმინეთ მე. ვენეცია დაქცეულ იყო, წარწყმდებოდა ტვირთისა ქვეშ ბიწიერებათა თჳსთასა და ურთიერთა შორის განიყოფდნენ უკანასკნელსა ქონებასა ქალაქისასა, რომელიცა ოდესმე იყო დიდება და მშვენიერება იტალიისა. ძველნი სასახლენი ჩუენნი და ჩინებულნი სახელნი ჩუენნი დაეცემოდნენ. დაქარავებულნი დარაჯანი ჩუენნი აღშფოთდებოდნენ, რადგანაც არ აძლევდნენ იმათ როჯიკს. ერი მოწყდებოდა სიყმილისაგან, არცადა თუ იმედიცა დაგვშთებოდა ჩუენ. დესპანი. . . რას ვამბობ? მეკომბრე მოვიდა ტუნისიდამ, რათამცა თავისით თვალით ენახა სიღარიბე ჩუენი. მაგრამ ერთი ვენეციის შჳლთაგანი, შთამომავალი ჩინებულთა წინაპართა, რომელიცა შეიმუსრებოდა გულით ყოველს შეწუხებაში ვენეციისა, თითქოს შეაწუხებდნენ იმის მშობელს დედას, კიდევ მოილანდვიდა ღონის-ძიებათა შეკრებისათჳს, თვალთა შინა ევროპიისათა დამველე-

ბულისა შენობისა ვენეციის დიდეჲსა, ენება გამოეხსნა
მამული თჳსი სიგლახაკისა და დამდაბლებისაგან. საჭი-
რო იყო ოქრო, რათამცა ფლოტი ჩუენი შეძლებელ ყო-
ფილიყო განსვლად ნავთ-საყუდელისაგან, დასჯისათჳს
ბარბაროსთა და დახსნისათჳს ახლისა· ძლევისა ფიცართა
ზედა ვენეციის ისტორიისათა. კაცი ისი მიჰმართვიდა ნო-
ბილთა: ისინი არა ისმენდეს იმას; ევედრებოდა ცასა: ის
არა ყურად-იღებდა ლოცვათა მისთა; მიისწრაფდა ური-
ათადმი: იმათ რაოდენი ფულიც ჰქონდათ, სრულიად
ესესხებინათ პატრიკიოსთათჳს, რომელთაცა მიეფლანგ-
ათ ის. წავიდა ისი ღამით, მასკიანი, ებრაელის ოტტალ-
ესთან და ამოსთხარა მიწისაგან ხაზინა, რომელიც და-
მარხულ იყო იმის სახლში: ოტტალეს არცა უნახავს და
არცა თუ სმენიეს ესე.

— ხაზინა! ყალბი მანათები! — სთქუა გრიმანი შეურა-
ცხებითი ღიმილით.

— მართალს ამბობ; მაგრამ ფლოტის განსვლის დღ-
ეს, ურიებმა მიიღეს ის მანათები სახელმწიფოს ვალში,
და რა დაეხრწივა ვაჭრების ფარჩხალთაგან ფრთოვანი ლო-
მი წმიდის მარკოზისა განსცხადდა ადრიატიკაზე.

— და ვინ იყო ისი? — ჰკითხეს მას გრიმანიმ, ტრევიზანიმ და მოჩენიგომ.

— ჯერ ყოველივე არ მითქჳამს მე თქჳენთჳს. მეთანხმეთ მე ამაზე, რომ არ შეგეწირნეით თქჳენ არცა დღეები და არცა ღამეები მძიმისა, უმადლოსა მუშაკობისათჳს, არა ყოფილიყვნეთ თქჳენ პირველს მუშაკად მრთელს ვენეციაში. არა, თქჳენ წარმომადგინელნი ხართ არა დიდებისა და პატივთა ადრინდელის ვენეციისათა, არამედ დამდაბლებისა და ბიწიერებათა უწინდელისათა. შენ, მოჩენიგო, განხორციელებული თამამობა ხარ; შენ, ტრევიზანი — სიმთჳრალე; შენ, გრიმანი — გემოთ-მოყვარება.

— ოო, ეგე კი მომატებულია, თქჳენ შეურაცხ-ჰყოფთ სენატს, — შეჰყვირეს ინკვიზიტორთა და აღსდგნენ.

— დოჯე! ბმანეთ: ვინ არი სჯულის-გარდამავალი? — ჰკითხა მას გრიმანი.

— სჯულის-გარდამავალი — მე!

— თქჳენ! — კრთომით დაიძახეს მათ.

— მე, დოჯე თქჳენი! ახლა დამსაჯეთ მე, ადმოშა-

ლეთ სახელი ჩემი ოქროს წიგნისაგან, უბძანეთ ჯალათის განსტეხოს ბეჭედი ჩემი. დიად, სამართალია მოვკჳდე, რადგანც ვერ გიხსენ თქუენ.

ჴმა დოჯესი განეცემოდა, ვით მოქანდაკული ნოჰამ-თი, * სახე მისი ბრწყინვიდა კეთილ-შობილურით ქედ-მაღლობით, და აღრეულნი ინკვიზიტორნი კრთებოდენ წინაშე საოცარისა ამის სჯულის გარდამავალისა.

— ახლა ყოველივე იცით თქუენ,— სთქუა მან მშჳდად,— გავამტყუნე მე თავი ჩემი, და ასეც უნდა მექნა; მაგრამ შეიწყალეთ ებრაელი, უბრალოა ისი. გრიმანი! მოხუცებული იცდის და უნდა განათავისუფლოთ.

გრიმანი აღსდგა და მოილაპარაკა თჳსთა ამხანაგებთან; მასუკან უბრძანა რაჲმე ერთსა მდგომარეთა მეორეს ოთახში სხვათაგანსა და მივიდა სარკმელთან, რომელი გარდაიხედებოდა დიდს ეზოზე დოჯეს სასახლისსა.

(*) ზართა ანუ ქოსნადარისა ცემა შესაკრებელად ერისა, გამოცხადებისათჳს აღრეულობისა გინა საზოგადოოსა შიშროებისა.

— დავიფიცეთ ჩუენ, თქუენო უგანათლებულესობავ, რომ არ დავსთხიოთ ამ ურიის სისხლი, და თითონ თქუენ ეხლავე დაინახავთ რომ გავა ეს ეზოდამ.

მასვე ჟამსა ოტტალე განსცხადდა ეზოსა. მას წინ მიუძღოდა კაცი შავ-პირბადიანი; ეგრეთითავე პირბადით დაბურვილ იყო სახე მოხუცებულისაცა. წამსა ერთსა გარდაიხადა მან თჳსაგან ის და უგანასკნელ შეხედა სარკმელსა დოჯესსა.

— დაჰდეგ! — დაუყვირა მან ალესსანდრო, — არა, არ იქნება ეგე!

— ნება დაგვრთეთ თქუენო უგანათლებულესობავ, ურიამ უნდა გარდაიხადოს დოჯეს ვალი, ვენეციისათჳს საჭიროა მსხუერპლი. ოტტალეს ამ სახედ შემოატარებენ მთელს ქალაქს, მასუკან გაგზავნიან ახალს სასნეულოს და მოიხმარებენ ქვესკნელურს მუშაობაზე. მოხუცებულება და კეთილ კაცობა დაიცვენ იმას მდაბიოთა გულის-წყრომისაგან.

— ფიცის გარდამავალნო! — დაიყვირა გაშმაგებულმან დოჯე, — დაასრულეთ ჩემზე ყოველნივე ჯოჯოხეთებრივნი სატანჯველნი თქუენნი, და ნუ გაატარებინებთ ამ

მოხუცებულს დაჰნაშთენს სიცოცხლეს საუკუნოს ბნელ-ში. არა, არ იქნება ეგე. . .

და მოვარდა კარებს; მაგრამ ტრევიზანიმ და მოჩენიგ-ომ შეიპყრეს ისი. გრიმანი, გულ-ხელ დაკრეფილი, სდ-გა კარებში და მდუმარებით უმზერდა სახილველსა ამას; შემდგომ მიეახლოვა ისი ალექსანდროს და სთქუა:

— დოჟე! ახლა ეკუთვნით თქუენ სამთა სამსჯავროს მართლ-მსაჯულებასა. გამოგვიცხადეთ ჩუენ უკანასკ-ნელი ნება თქუენი.

— ნება ჩემი არი მხოლოდ ესე, რო ერი. . . ერი ჩე-მი შემოკრბეს ჩემს ეშაფოტთან * და სიკუდილის წინ ერ-თხელ კიდევ გარდავავლო მე თვალი ვენეციას. . . აი, უოკველივე წადილი ჩემი.

გრიმანიმ განაღო კარი, დაუძახა ორთა ინკვიზიციის მწევართა და, მოილაპარაკა რა თჳსთა ამხანაგებთანა, მი-სცა სბირთა ბრძანება. მასუკან მივიდა ისი დოჟესთან და უთხრა:

---

( * ) ადგილი სიკუდილით დასჯისათჳს, სახედ ამბიონ-ისა ქმნილი.

— აი, რა გარდასწყვიტა სამსჯავრომ, თქუენო უგანათლებულესობავ: დასჯაცა დოჯესი და დანაშაულიცა მისი დაფარულ იქნების. ერი შეექცევის ოტტალეს სასჯელის ხილვითა, რომელსაცა მხოლოსა გამოაცხადებენ დამნაშავედ, და ამას შორის გეროლდნი გამოუცხადებენ მრთელს ქალაქს რომ დოჯე გარდაიცვალა. ვენეცია შეიმოსავს სამგლოვიაროს სამოსელს; რესპუბლიკის ყოველს ეკკლესიებში ილოცვენ განსვენებისათჳს სულისა თქუენისა; პატრიარხი წარსთქუამს თქუენს საფლავზე სიტყუას; დამარხვა თქუენი იქნების ჩვეულებრივით დიდებულებით წმიდის მარკოსის ტაძარში; გულსა თქუენსა წაასვენებენ სასახლიდამ წმიდათა იოანნეს და პავლეს ეკკლესიად. დიდი სავაზირო შეკრბების თქუენის მოადგილის დასანიშნავად.

— და რა გვარს სიკუდილს დამინიშნავთ თქუენ მე?

— თქუენო უგანათლებულესობავ,— სთქუა გრიმანი — . . . თქუენ ვერდა გამოხვალთ ამ ოთახიდამ. . . კარებს და ფანჯრებს ეხლავ ამოაშენებენ.

— მესმის: სიყმილი ისეთი ჯალლათია, რომელიც არას გამოროშავს.

— თუ ვინმე ვენეციაში, ერთ-გულობისა გამო თქუჱნ-დამო, მოინდომებს თქუჱნს ნახვას, — შემოსვლით შე-მოვა, გასვლით ვერღა გავა.

— დოჟე, — სთქუა მოჩენიგო, მიეახლოებოდა რა ალ-ექსანდროს პირ-მოთნეობითით პატივის-ცემით, — ჩუჱნ დავიცავთ თქუჱნის სახელის პატივს. . .

— დოჟე, — სთქუა ეგრეთვე ტრევიზანი, — არ დავ-იწყებიეს ჩუჱნ, რო სჯულის-გარდამავალი იყო მეგო-ბარი ჩუჱნი.

— მოჩენიგო, ტრევიზანი, გრიმანი, — უპასუხა მათ დო-ჟე კეთილ-მობილურით კიცხვით, — სხუა სათნოება თუ არა იპოება რა თქუჱნში, მგრძნობელნი მაინც ბრძანდე-ბით. დიდად გმადლობ მე თქუჱნ. მაგრამ, თუ მიხედ-ოთ თქუჱნ წარსრულსა, ჯერეთ არა ძველსა დროსა, იქ-ნება მოიხსენოთ, რო რომელიმე ფარული მცველი არა ერთხელ გარდაიხადა თქუჱნს მაგიერ თქუჱნს ვალე-ბს, გამოიხსნიდა ურიებთან დაგირავებულს თქუჱნს ქო-ნებას, როგორც კეთილი ძე მოწყალე მამა მოგცემდათ თქუჱნ დონის მაგებათა განცხრომათის ცხოვრებისათჳს. მფარველი ის ვიყავ მე.

— თქუენ! — განცჳფრებით დასძახეს სამთავე.

— დიახ, მე. და თუ არ მერწმუნებით, — აი, გრიმანი, გირაობის წერილი შენის მამულის როვერედოზე, რომელიც დაუგირავე შენ ურიას სამოელს; აი, მოჩენიგო და ტრევიზანი თქუენი თამასუქები, რომლებითაც არ მოითხოვდენ თქუენგან ვალების გარდახდას.

— დიახ, მართალია, — იტყოდენ მსაჯულნი აღრეულებით უმზერდენ რა ერთი მეორესა.

— აწ, ნაწილი ფარდისა, რომელიცა დაჰფარვიდა ცხოვრებასა ჩემსა ყოვლისაგან ქუეყანისა, აღწერილია. მე, დოჟე, ვსცხოვრობდი ამ გლახაკს სენაკში, მძინევდა ამ სარეცელზე, ხმელზე როგორც ქვეშ-საგები უკანასკნელის მხედრისა; თქუენ განატარებდით ყოველს ღამეს შექცევით, მე შრომით, და მზე, გარდამოეფინებოდა რა ვენეციასა მოგვასწრობდა თქუენცა და მეცა თანასწორს მდებარეობაში; თქუენ დამშვრალი იყავით თამაშობით და გემოთ-მოყვარებით, მე მძიმით მუშაკობით. ჰე, ჰე! შურდათ ჩემთჳს ჩემი ყოფა-ცხოვრება, მოიცთუნებოდენ რა ოქროვანითა გარსითა ცხოვრებისა ჩემისათა, და ცხოვრება ჩემი იყო მძიმე, მწარე! ვეწვალებოდი მე, ვივნებდი

სხეულითა და სულითა; ვევედრებოდი ცასა განეშორებინა ჩემგან სასმისი ესე მწუხარებისა და ცაჲ დასასრულ შეისმენს ვედრებასა ჩემსა. განმათავისუფლებს მე მამისა ჯვარისაგან.

დოჯე სდუმნა. უმზერდა ისი ღჳთაებრივსა სიმგოლოსა ვნებისასა; ცრემლი სთრთოდა წამწამთა ზედა მისთა, გარნა არა შეინანიებდა ისი თჳსისა თავის შეწირვისათჳს. ამას შორის იწყეს აღმოშენება სარკმლისა გარედამ; განურკვეველი ლაპარაკი ისმოდა ფარისა ზალაში: დოჯეს გარდაცუალებასა ჩვეულებრივ გამოაცხადებდენ მით, რომე მას ზალაში აღმართვიდენ შავსა დროშასა. ქალაქში განეცემოდა სამკჳდრო რეკა ზართა.

— თავ-ზარი მეცემა, მოჩერიგო, — სთქჳა ჩურჩულით ტრევიზანი.

— მაუწყოლებს, ტრევიზანი: მეჩვენა მე ვითომც ჯვარცმაზე ნაგმირალისაგან სწვეთს სისხლი.

— წავიდეთ, წავიდეთ, გავეცალნეთ ამ ცოდვას: ჩჳენ აღვასრულეთ მოვალეობა ჩჳენი. — სთქჳა გრიმანი.

ინკვიზიტორნი გამოვიდენ. მოედანზე განისმა უვარ-

ილი გვრილდისა; ზარები სამწუხროდ გუგუნებდენ; სარკმელი ნახევრად აღმოშენებულ იყო; კვერი იცემებოდა კარებზე; ოთახსა მოეფინებოდა ბნელი.

შემოვიდა პოლიციის მოხელე, თავი დაუკრა დოჯეს და დასდგა სტოლსა ბაზმაკი. . .

— დამეა, საუკუნო დამეა!— სთქუა დოჯე, რომელსაც ფილთა ლამპრისა მის ადკომლდა ცარიელსა ამას და ბნელს ოთახში.— მოვკუდე ამ საფლავში, რომელსაც გარეთ ანათებს მზე! მოვკუდე აქა, რომელსაც გარეთ, ქვეშე ფერხთა ჩემთა, ვენეცია სტირს ცარიელს კუბოზე თავისის დოჯესა! . . .

მისჯდა ისი სვეტთან, გულსა დაიკრიფა ჴელნი, დაღუნა თავი და ჩაფიქრდა. გონებით განიხილვიდა ისი მრთელსა სიცოცხლესა თვისსა და ვერ ჰპოვებდა მას შინა რასამე, რაჲთამცა დიდს ყოფილიყო ესრედ შესამძრწუნებელისა სიკუდილისა; წინააღმდეგ ამისა, სინიდისი ეტყოდა მას, რომე წმიდად აღასრულებდა ისი თანამდებობასა თვისთა ღჳთისადმი და კაცთა. სანუგეშო მგრძნობელობა ესე და ჰაზრი, რომე თავის-შეწირვითა თვისითა იხსნა მიანა, განამტკიცებდენ მას.

განისმა ყვირილი. ალექსანდრომ ზე-აღიწივა თავი. ჴმა გერონდისა განეცემოდა თჳთ პალაცცოს ეზოში:— დოჯე გარდაიცვალა, ილოცეთ განსვენებისათჳს სულისა მისისა, დოჯე გარდაიცვალა!

ალექსანდრო აღიღო და მივარდა სარკმელსა. ჴმა გერონდისა ახლად განეცა.— სდუმით!— დაიყვირა ბორგნეულმან დოჯე, განაღებდა რა სარკმელს და მეცადინობდა გამოექცივა ქვები, რომელთა მიერცა აღმოაშენებდენ მას:— სდუმით! დოჯე ჯერ ცოცხალია. . . . გარნა კუალად მოეგო გონსა და სთქუა:— რას ვშვრები? რა სულ-მოკლეობაა! არა მე უნდა მოვკუდებოდე როგორც სუსტი დედა-კაცი! . . .

თავი სარკმლისა ჯერედ არა სრულებით აღმოშენებულ იყო; ნაზი შუქი განიჭვრიტებოდა მუნით და დაფიფინებდა იატაკსა. დოჯე დასჯდა და მწუხარედ უმზერდა, ვითარ ნათელი ალაგი თან-და-თან შემცირდებოდა, შუქი მცირე-მცირედ განქრებოდა.

— რა არი ეს? . . . დერეფანში ისმის ფეხის ჴმა. . დედა-კაცის სლვასა ჰგავს. . . კარი ჯერ სრულებით აშოშენებული არ არი. . . ოჰ! ვინ მოდის თავის სადა-

ვსა! . . . ღმერთო ჩემო! მიანა! . . . ნუ თუ ვერ ვიხ-ხენ მე ისა! . . .

წამსა ამას მის წინ განსცხადდა გრაფინა, რომელი-ცა, განმრთომილი იყო რა ვიწროსა, ჯერედ სრულებით არა აღმოშენებულსა სივრცესა კარისასა, შემოვიდა ოთ-ახსა. რა განიცადა ისა ლოჯე შეკრთა და დაიძახა:

— შენ ხარ!

— მე ვარ! — სთქჳა გრაფინამ და გარდააგდო თჳსა-გან პირ-ბადე.

— საფია! ღმერთი მართლ-მსაჯულია! . . . . არ იცი სად შემოხველ! . . . შეხედე!

და უჩვენა აღმოშენებული უკჳჵ სარკმელი და კარი, რომელსაცა აღმოაშენებდენ ეგრეთვე.

— მე უბრალო ვარ, მე გამიშვებენ. მე უნდა გითხრა შენ საიდუმლო.

— მეც უნდა გითხრა შენ საიდუმლო, მაგრამ საიდუმ-ლო სანუგეშო.

— რა უნდა სთქჳა? — ჰკითხა გრაფინამ ძრწოლით, უმ ზერდა რა მას პირის-სახეზე, რომელი ნათელსა ზედა ლა მპარისასა იჩვენებოდა კჳალად უმკრთალეს ჩვეულებრი-

ვისა.

— საფია! შენ გყვანდა ქალი! — სთქუა მან დააპყრ-რა მას თვალნი გამომცდელნი.

— ოჰ! ნუღა მომაგონებ მე უსაშინელესსა უბედურებათა ჩემთაგანსა.

— თხუთმეტის წლის წინ. . . რომში. . . ერთხელ შემოვედ მე შენს ოთახში და გაგიმჟღავნე, რო ჩუენი შვილი მოკუდა მეთქი. . .

— ოჰ, დაჩუმდი, დაჩუმდი, ნუ იტყვი მაგას. განა დაივიწყე შენ, რამთენი ცრემლი დავღვარე მე მაშინ! შენ კი არა სტიროდი. ვაი! მეცა, მე ვიყავ მაშინ ძალიან ყმაწვილი და მართლად ვერ ვიგულ-ხმევდი ჩემს უბედურებას.

— საფია! მე მოგატყუე შენ. შენი შჳლი ცოცხალია!

— მომატყუე! — განამეორა საფიამ, თითქოს არა ერწმუნებოდა, რასაცა ისმენდა.

— შენი შვილი ცოცხალია.

— ცოცხალია! — დაიყვირა მან და მივარდა დოჟეს. — ოჰ, რა მესმის! რა მესმის! და სად არი ისა? — ჰკითხა გრაფინამ დაიკრიბა რა ჴელნი მავედრებელით სახით. — სად

არა? მითხარ! ნუ მტანჯავ. . . ალექსანდრო, შენ მიღალატე მე, შეურაცხ ჰყავ სიყვარული ჩემი, და მე მქონდა სრული მიზეზი შენის სიძულილისა, შენის სიკჳდილისა; მაგრამ, ესეც კი ვიცი მე და ვიტყვი: ყოველთჳს იყავ შენ კაცი კეთილ-შობილი და დიდ-სული. . . შენ მეტყვი მე სად დამალე ჩემი შვილი. . . ოჰ, ნუ მტანჯავ! . . . მითხარ ჩქარა. . . მე ხო კიდევ შემიძლიან გავიდე აქედამ. . . შემიძლიან კიდევ ვნახო ისა.

— არა, ვერდა გახვალ შენ აქედამ. . .

— და რად მომატყუე შენ მე? . . . უეჭველად, გნებავდა შენ მოგერიდებინა ისა ვენეციის საცთურთაგან. . დიდის მაგალითისაგან. . . . ალექსანდრო, დაავიწყე შენ, რომ დედობრივი სიყვარული ყოველსავე განსწმენდს. . . დიაღ, მოვიწონებდი მე შენს განზრახვას. . . ცრემლით შემოვეხვეოდი ჩემის შვილის აკვანს და დავხუჭევდი თვალებს, რომ არ მენახა თუ საით გაგზავნიდი შენ იმას. . . ოჰ! განვსწმენდდი მე უნებლიეთისა დანაშაულსა ჩემსა. . . ბედნიერებისათჳს ჩემის შვილისა დავსთმობდი მე იმ ბედნიერებასაცა, რომ არდა მესიამოვნა იმის ალერსით. . . მაგრამ შენ ვერ მიცნობდი მე, შენ

მიყურებდი მე როგორც ლამაზს სათამაშოს, როგორც ტყვეს, მოსყიდულს, ან მოტაცებულს შექცევისათჳს შენისა. . . და არცა თუ იფიქრე სასტიკო, რო იმ ტყვის მკერდ ქვეშ იცემებოდა გული დედაკაცისა! . . . მაგრამ, ახლა მაინც მითხარ, ალექსანდრო, სად არი ჩემი შჳლი, ჩემი საფია? . . .

— არა, საფია არა ჰქვიან იმან. . . შევსცჳალე მე ეგ სახელი, რომელსაც რომში. . . გახსოვს შენ. . . კალიოსტრომ მიჩვენა მე ნასყიდობის წერილი ტყვისა საფიასი. . . მოიგონე სვე რანუმისა. . . ისვე სვე მოუველოდებოდა მეცა და შენცა და შჳლსაცა ჩუენსა. . . კალიოსტრომ შური მიძია მე. . . დიდი ხანი არ არი აქ იყო ისი. . .

— კალიოსტრო!

— ოჰ, დავით გრუსს იყო კალიოსტრო. . . მე წინადამიდვა იმან გარდმოშედო იმისი დანაშაულობა ჩემზე და ამის სამაგიეროდ გააუქმა შენის ტყვეობის და ჩუენის შჳლის შთამომავლობის მოწმობა. . . განა შემეძლოდა მე არ დავთანხმებულვიყავ? მოვკჳდები მე, ჩემი სახელი შებილწებულ იქნების. . . მაგრამ ამ ჩემის თავის

შეწირვით ვიხსენ მე ჩემი შვილი! . . .

— ოჰ, გმადლობ, გმადლობ შენ! . . . — დაიყვირა გრაფინამ ვერღა მოიბრუნებდა რა სულს სიხარულისაგან.

— ახლა უშიშარს ადგილს არი ისა, შორს ვენეციიდამ. .

— ვენეციიდამ? მაშ აქ იყო ისა? . . . სახელი. . . ღჳთის გულისათჳს, სახელი იმისი?

— მიანა. . .

— მიანა! . . .

— ჰო, მიანა, რომელიც შენ გეგონა შენს მოცილედ, მიანა ჩუენი შვილია. . .

გრაფინამ საშინლად დაიწივლა, რეცა თუ გული მისი განიპო და გულს შემოეყარა მას სტოლზე, რომელზედაცა იწვებოდა ლამპარი.

— გამიშვი, გამიშვი!— დაიკივლა მან და ეცა კარებს. გარდასწივა მან ფარდა და საშინელით ზარით დაიღრიალა:— ამოუშენებიათ!

— აკი გითხარ.

— არ იცი შენ, ალექსანდრო, არ იცი რა უნდა გითხრა მე შენ. . . ჩემმა საუბედურომ იჭვნეულებამ დაგ-

ვდუბა ჩუენ...

— მე შენ გეუბნები რო მოვარჩინე მე ჩუენი შვი-ლი...

— ვაი ჩემს თავს! მე მოვკალ ისა...

— წყეულო!..— შეჰყვირა დოჯემ, განსხლტებო-და რა მისგან...— მაგრამ არა! არ იცი შენ თითონ რას ამბობ..

— მე მოვკალ, მე მოვკალ!... მე ვნახე, რომელსაც მუნჯმა ორსატომ გამოიტანა ისა აქედამ... ვუთხარ მე გრიმანის.. და მუნჯის გონდოლა შემობრუნდა ორ ფანოს არხზე... ალექსანდრო!.. შემიწყალე!.. მომკალ!...

დოჯემ მდუმარებით გამოიძრო თითიდამ ბეჭედი და მიიტანა პირთან. მასვე წამსა სახე მისი კრუნჩხვით შეი-ცვალა, თვალნი გარდმოსცვივდენ მას... საშიშარი უმზერდა ისი საფიას..

— კალიოსტრო! გმადლობ შენ: ეს საწამლავი უუმვი-რთვასყესია შენის საიდუმლოებისაგან...

და გარდააგდო მან ბეჭედი.

— საწამლავი!— შეჰკივლა საფიამ, მივარდა ბეჭედს

ჰ გახსნა. .

— ჩემთჳს კი არღა დარჩარა!— სთქუა ჰ უღონოდ და ეძგა იატაკსა.

ამ დროს ახლად განისმა ჴმა გეროლდისა:— „დოჟე გარდაიცვალა! ილოცეთ განსვენებისათჳს სულისა მისისა! დოჟე გარდაიცვალა!. .„

— ჰო. . . ახლა. . . დოჟე. . მოკუდა. . — გამოილუდლუდა, ალექსანდრომ ჰ დაეცა სარეცელსა.

---

როდესაც განაღეს ოთახი, იქ მდებარებდენ ერთმანე-ერთზე ჴელებ-გარდახვეულნი ორი მკუდარი გვამი.

დასასრული.

საპყრობილესა შინა უეცრად ფრინველის შეფრენა და პყრობილისაგან ლაპარაკი.

ეჰა ფრინველო, სით მოხველ ჩემად,
რომელის ქვეყანით, ჵ ანუ თემად,
სით მომევლინე, ვკრთები მე ამად,
ჩემებრივ პყრობილთ, ნუგეშის ცემად,

მაგრამ ვსწუხ შენთჳს აწიდგან მარად,
აქ რისთჳს მოხველ, მხედავ საზარად,
ამად შემქმნია, დრო გასამწარად,
კართა მხმილავნი, მცვენ მრავალ ჯარად,

საკანი ესე ჩემთჳს არს ქმნილი,
წყვდიად უკუნი ნათელ დავსილი,
ბედმან სასტიკად მე მყო დასჯილი,
შენ წარვედ ისუნთქე ჰაერი ტკბილი,

ვერ უძლებ შენ ჩემს, ხან-გრძლად ყურებას,
სულთქმა კვნესასა სოფლის მდურებას,
ვერ მიშრობ დაწვთა ცრემლთა დინებას,
სისხლის ოფლსა შიგან ტანჯვით ცურვებას,

თუმცა ვიხარე ხილვით შენითა,
მადლობას გიძღვნი მწირის ენითა,
მას ვიწუხ არ იქნე ჩემებრ წყენითა,
წარვედ მშვიდობით მუნვე ფრენითა,

მავუწყე ვინ ხარ ან სით მავალი,
რა არს გზის სიგრძე ანუ სავალი,
არ ვინ მიხილავს, დრო არს მრავალი,
აწ შენის ნახვით, განათლდა თვალი,

ნუ თუ გეხილვოს იგი არენი,
სადცა სცხოვრებენ ჩემნი მთვარენი,
მარქვი ამბავნი გასახარენი,
ჩემდა საამოდ, დღე საკმარენი,

წალკოტს ყვავილნი ჩემ მიერ რგული,

მჭვრეტელთ საამოდ ნახჩათ ჩარგული,
მის ვედარ მჭვრეტი ვით გასძღებს გული,
ვზი ფიქრ მოცული გადმოკარგული,

მარქვით თუ წყალნი, ჩქარ მომდინარე,
კჳალად ქუხს შხივის წალკოტს წინარე.
ვინ არს განცხრომით ანუ მჭმუნვარე,
მასმინე ესე ნუ ხარ მდუმარე,

მუნ ორი ნორჩნი ანგელოზთ დარი,
ვის მოშორვებით არს გული მკჳდარი,
სიცოცხლე ამით მაქჳს განამწარი,
ცრემლთა დინებით დაწვნი დამწვარი,

ურმულებრ ყვავილთა შლიან დე ჰქელვენ,
გლეჯენ ურევენ ნამგლურებ სცელვენ,
მაგრამ ყვავილნიც ეტროვიან ელვენ,
რადგან საამოდ უჩნთ რის შეხელვენ,

ნუ თუ შეიძლო მათი ჩვენება,

მათ შემამოკლო ცრემლთა დინება,
ისმინე ჩემი ჭმუნვით ქენება,
ჰყავ ჩემდა ნათლის აღმოცენება,

მივედ მახლობლად იწყებენ მღერას,
მყის ისურვებენ შენსა დაჭერას,
შენ ჩემ კერძ ვლიდე მსწრაფლ ვითარ ჯერარს,
ნუ თუ მადირსო მცირედ მათ ცქერას,

ჩემს სანადიროდ ველს აღყვავებულს,
სხჳათ სავარდეთა უმეტეს ქებულს,
ყოვლთა მხილველთა ჰყოფს გაოცებულს,
ვაჲ ვეღარ მნახავთ მუნ გახარებულს,

ნადირთ მსვრელ ჯომარდ აწ ვინ არიან,
ვინ დროს ატარებს ჩემებრ გვარიან,
ვინ სწუხს, ვინ ჰგოდებს ვის უხარიან,
ანუ უჩემოდ ვით კმა არიან,

ესე ყოველი მარქვა ძმობილო,

მუნ წმინდა ჯვარს შიგან შობილო,
ჩემის ოხვრის სმენით ლახვარ სობილო,
უცნობთ პყრობილთა გულით ლმობილო,

წარვედ აცნობე ჩემ ძმათ ძმობილთა,
ოდესმე შვებით ქართათ აღზრდილთა,
აუწყე ვითარ მხედავ ვნებულთა,
ვით ვზი აწ წყვდიადს კარ დაგდებულთა,

ყოვლად სატრფონი, ჩემთჳს მტირალნი,
ჩემ შემატკბობლად, განსაკვირვალნი,
ხაამოს ამბის სმენად მზირალნი,
ვაი ვიქმენ მათი დამამცირალნი. —

თავადი სვიმონ მაჩაბელი.

## კალიოსტრო დერცოგ რიშელიოსთან. *

პირველსა რიცხვსა აპრილისას 1785 წელსა, შუადღის უკან სამს საათზედ, მოხუცმა მარშალმა რიშალიომ, შეიღება წარბები სურნელიანის სურმითა, სარკეს წინ რომელიცა ეჭირა კამერდინერსა ( პირის ფარეშსა, ) და უთხრა თჳსის დიდკაცურის კელის მნიშვნელობითა:

— კმარა! მე მზათა ვარ. ასე კარგათ იქნება! მერე ადგა სკამიდგან შეიბერტყა პუდრი რომელიც დაჰყრო-

---

( * ) კალიოსტრო გამოჩენილი მაღაკი და ქიმია აქამდის არ არის გამოცნობილი ვინაობა მისი.— ეს მცირედი გამოწერილი ხარაქტერი ზოტოვის რომანიდგან, მოგცემთ მკითხველთა რომელთამე სიამოვნებას განსაკვირვებელს ამა კაცზედ.

და იმის ცის ფერს ხავერდის კაბას, გაიარ გამოიარა სამჯერ ოთახში საკმაოდ ვაჟკაცურის ბიჯით და მერე უბძანა კამერდინერს.

— დამიძახე მეტრ დოტელსა ( სახლთხუცესსა ) ხუთს მინუტს უკან შემოვიდა სახლთხუცესი კარგათ ჩაცმული.

მარშალმა მიიღო დიდკაცური შესახედაობა, და ჰკითხა:

— იმედი მაქუს რომ თქუენ მომიმზადეთ კარგი სადილი?

— ყოველი ფერი გაკეთებულია რაც ბძანეთ.

— მე გამოგიგზავნეთ სია ჩემის სტუმრებისა.

— დიახ! თქუენ ბძანეთ მომემზადებინა ცხრა კაცის სადილი.

— ანგარიშზედ არ არის საქმე ბატონო, სტუმრებზედ არის!

— დიახ! მაგრამ. . .

მარშალმა გაუწყვიტა სიტყვა მოუთმენელის შერხევითა.

— მაგრამ. . არ არის სრული პასუხი მოწყალეო ჴელმწიფევ; და ყოველთჳს, როცა გავიგონებ მაგ სიტყვას—

და მე საკმაოდ გავიგონე ოთხმოცდა რვა წელიწადში— და ყოველთვის მაგ სიტყვას სულელი რამ შეუდგებოდა ხოლმე.

— შემინდეთ მე მეგონა. . .

— პირველად მე თქუენ მითხარით, რომელ საათზედ ვჭამთ სადილსა?

— მდაბალი ხალხი ჰსჭამს სადილს ორ საათზედ, თანამდებობის კაცნი — სამზედ, აზნაურნი ოთხზედ.

— და მე?

— თქუენ მიირთმევთ დღეს ხუთ საათზედ!

— ხუთზედა? რას ნიშნავს ესე?

— ხუთ საათზედ მიირთმევს სადილს კაროლი.

— რათა გგონია რომ დღეს სადილს ვჭამ კაროლისავით?

— მისთვის, რომ სიაში რომელიც თქუენ გებოძებინათ ჩემთვის, ვიპოვნე ერთი სახელი კაროლისა.

— თქუენ შემცდარხართ ბატონო, დღეს ჩემთან უბრალო აზნაურნი იქნებიან სადილათ.—

— დერცოდს უნდა დღეს უთუოთ დასცინოს თავის ერთგულს მონას, და მე გმადლობთ მაგ პატივის ცემისა-

თჳს; მაგრამ თქუენ სტუმრებთაგანი იქნება ერთი გრაფი გაგსკისა.

— და ვითომ მანდიდან რა გამოვა?

— მაშ გრაფი გაგსკისა კაროლი არ არის?

— მე ვერ ვიცნობ ვერცერთს კაროლს, რომელიც იწოდებოდეს მაგ სახელით

— მაშ მაგ შემთხვევისათჳს, შემინდეთ მე, მე ვიფიქრე. . . მე მეგონა.

— თქუენი თანამდებობა არ არის ის, რომ იფიქროთ და ჰგონებდეთ; თქუენ უნდა განუსჯელად აღასრულოთ ჩემი ბრძანება. როდესაც მსურს რომ ცნობილ იყოს ის საქმე რაც მინდა ვქნა, თჳთონ მე დავაგდებ ხმასა იმაზედ; და როდესაც მე ჩუმათ ვარ, ის ნიშნავს რომ სხუანიც ჩუმათ უნდა იყვნენ.

სახლთხუცესმა, პასუხის მაგიერ დაუკრა თავი მძიმედ და პატივის ცემით. —

მარშალმა განაგრძელა:

მგეც აგრე; ჩემთან ისადილებენ მხოლოდ აზნაურნი, მაშ მე მსურს ვისადილო, ჩუეულებისამებრ ოთხ საათზედ.

ამ სიტყჳაზედ სახლთხუცესი გაუკვირდა და შეშინ-და, თითქო გაიგონა გადაწყვეტა თავის სიკჳდილისა, მერე შეიკრიბა ყოველი თჳსი გამბედაობა და ჰკითხა:

— ნება ღჳთისა აღსრულდეს, მაგრამ დერცოდი რე-შალით დასჯდება სტოლზედ ხუთ საათზედ.

— ეგ რას ნიშნავს ბატონო? დაიყვირა მრისხანებით ბეჲერმა მარშალმა.

— იმაზედ აღრე სადილი არ შეიძლება არას გზით.—

— გამიგონეთ, უფალო, უთხრა დერცოდმა ამპარტავ-ნებით, დაუქნევდა მარადის ყმაწვილურს თავსა:— მგო-ნია თქჳენ ოცი წელიწადია მემსახურებით?

— ოცდა ერთი წელიწადი ორი თვე და ორი კვირა.

— მაშ იცით, მაგ ოცდა ერთს წელს ორ თვეს და ორ კვირას ერთ საათსაც ვეღარ მოუმატებთ. დღესვე შეგი-ძლიანთ მოსძებნოთ სხჳა ადგილი. მე არა მსურს, რომ ჩე მს სახლში გამოსთქჳას ვინმე სიტყჳა: არ შეიძლება. ამ ასთანავე, ჩემს წლოვანებაში ძნელია დავისწავლო ეგ სიტყჳა.

სახლთხუცესმა კიდევ დაუკრა თავი და უთხრა:

— დღეს საღამოზედ აღვასრულებ თქჳენს ბძანებას;

მაგრამ უკანასკნელ მინუტამდე მოვიქცევი ისე, რასაც მე მიბძანებს ვალი და ჩემი პატიოსნება.

— მაგიათი თქჳენ რა უნდა ჰსთქჳათ? დაუყვირა მოხუცმა მარშალმა.—

— თქჳენ უნდა მოიქცეთ ისე, როგორც მე გიბძანებთ, რომლესაც მე მინდა ვისადილო ოთხს საათზედ, თქჳენ არ შეგიძლიანთ გაიყდოთ ხუთამდე მომაცდენოთ.—

— დერცოდო, მოახსენა სახლთუხუცესმა — მე ვემსახურებოდი პრინც დე სუბიზს და კარდინალს დე, როგანს. პირველთან განსვენებული ფრანციის კაროლი წელიწადში ერთხელ მიირთმევდა სადილს, მეორესთან ავსტრიის იმპერატორი თვეში ერთხელ ისადილებდა; მაშასადამე მე ვიცი როგორის რიგით მიდიებენ მეფეთა. პრინც დე სუბიზთან კაროლი ლუდვიკი მეთხუთმეტე ბარონ დორენოს დაირქმევდა ხოლმე, მაგრამ მაინც კაროლი იყო ხოლმე. კარდინალ დე როგანთან იმპერატორი იოსებ ტყუილად იმალავდა თავსა და დაირქმევდა გრაფ ფალკენშტეინს, მაგრამ მაინც იმპერატორი იყო. დღეს თქჳენ გეყოლებათ სტუმრად გრაფი გაგიკი, მაგრამ მაინც მე-

ედის კაროლისა. მე დღესვე დავარქმევ თავსა თქვენის სასახლეს, მაგრამ მანამ თქვენ გემსახურებით, გრაფი გაგსკი იქნება მიღებული თქვენ სახლში როგორც კარო-ლი.

— ანა მეც მაგას გიკრძალავ, ჟაუკო თაო. გესმისთ თუ არა? კაროლს სურის დაიცოს დიდის საიდუმლოებ-ით თავის ინკოგნიტო * გესმისთ თუ არა უფალო კედო-სახოცების რიცარო (ბუნბერაზო)? თქვენ ეტიკეტს ** არა ჰკსცემთ პატივსა, არამედ თქვენსა თავსა, და გინდ-ათ ისახელოთ ჩემის ფულით.—

— მე არა მგონია რომ თქვენ მართლად ფულების მა-ფვედრებდეთ.

— მე ფიქრათაც არ მამსვლია ფულები. თქვენ სხვა-ზედ ნუ აგერებით ჩემს ლაპარაკს. მე თქვენ განგიმეო-რებით რომ ჩემთან არავინ გაიგდოს კოროლის ხსენება. ეს არის სრული სურვილი გრაფ გაგსკისა.—

---

(*) ინკოგნიტო რომლესაც დიდი კაცი თავის წოდებას დაჰფარავს რომ არავინ იცნოს.—

(**) ეტიკეტი, წესი დიდკაცურის მიღებისა.—

— თქჳენ მე განა გგონივართ? აქ ვერავინ გაბედა-ვს წამოილუღლუღოს კართლის სახელი.—

— მაშ მოამზადე სადილი ოთხ საათზედ.

— არ შეიძლება დერცოდო. ოთხ საათზედ არ იქნება მზათ ისა რასაც მე მოველი.

— რას ელით? რომელსამე უთუოთ თევზსა, როგორც ვატელი. *

— ვატელი? ვატელი? წაიბუტბუტა სახლთხუცესმა.

— თქჳენ ხომ არა წყინობთ რომ შეგამგზავსეთ?

— სრულიად არა, მაგრამ მზარეული ვატელი შეიქმნა უკჳდავი იმით, რომ ხმლით განიგმირა გული.

— მგონია თქჳენ გგონიათ ადვილად მოისყიდა უკჳ-დავება.

— არა, დერცოდო; მაგრამ შეურცხვებას სხჳანი უფ-რო ცუდათ აიტანენ ხოლმე, ვიდრე ხანჯლით განგმირ-ას, და კიდეც არ იტყვიან იმაზედ.

— განა თქჳენ არ იცით, რომ უკჳდავნი არიან ჩჳე-

---

(*) ვატელი იყო მზარეული რომელმანც თავი მოიკლა,

ნი აკადემიკნი და მიცვალებულნი.

— მე ვიცი, ყველაზედ უმჯობესია იცოცხლოს კაცმა და აღასრულოს თავისი თანამდებობა. მე თავს არ მოვიკლავ და გავაკეთებ სადილს, როგორც ვატელი, თითქმის უკეთესადაც.

— თქვენ გვიმზადებთ უთუოდ ნუგბარს რასმე.

— არაფერს.

— მაშ რას ელით მე ძალიან მინდა შევიტყო.

— თუ თქვენ ითხოვთ, მე მოგახსენებთ, რომ მე გვეჭლი ერთი ბუტილკა ღვინოს.

— ერთი ბუტილკა ღვინოს? ამიხსენით.

— აი რაზედ არის საქმე; მისი დიდებულება შვედის კაროლი, შემინდეთ მისი ბრწყინვალება, გრაფი გავსკი სვამს მხოლოდ ტოკაის ღვინოს.

— და მერე, განა ჩემს მარანში ცოტაა ტოკაის ღვინო?

— არა, დერცოდო, თქვენა გაქვსთ სამოცი ბუტილკა ტოკაის ღვინო?

— თქვენ გგონიათ, რომ ერთ სადილზედ გრაფი დალევს სამოც ბუტილკას.

— როგორ შეიძლება: როდესაც პირველად გრაფი გა-
გსკი მოვიდა ფრანციაში, მაშინ ჯერ მემკვიდრე იყო, და
იყო სადილათ განსვენებულს კაროლთან. ამ დროს ავს-
ტრიის იმპერატორმა გამოუგზავნა თორმეტი ბუტილკა
უკეთესი ტოკაის ღვინო, რომელიც ღვინო კეთდება მხ-
ოლოდ იმპერატორის გვარისათვის.

— მე ეგ ვიცი.

— მემკვიდრეს საკვირვლად მოეწონა ის ღვინო, და ის
იმას აქეთ იმის მეტ ღვინოს არასა სვამს. ახლა იმ თორ-
მეტი ბუტილკიდგან დარჩა ორი ბუტილკადა. და ერთი
ბუტილკა არის კიდევ კაროლის მეთექვსმეტე ლუდოვიკის
მარანში.

მერე?

— მერე. მიუგო მხიარულის და ამპარტავნულის ღიმი-
ლით სახლთხუცესმა— მერეს, მოველი მე დღეს ხუთ
საათზედ. ის ბუტილკა იქნება თქუენს სტოლზედ.

— საიდან მოიტანთ?

— ერთი ჩემი მეგობართაგანი განსვენებულის კაროლ-
ის სახლთხუცესი გამომიგზავნის.

— და იმან თქუენ გაჩუქათ ისეთი ძვირფასი ბუტილ-

ვა?

— დიახ ჰსწორეთ; მაშინ როდესაც ვემსახურებოდი მე კარდინალ პრინცდო, როგანსა. ეხლა ის ბუტილკა იმის მარანშია.—

— ღმერთო ჩემო მაშ ის ბუტილკა სტრასბურღშია.

-- არა გერცოგო, სავერნეშია.

— და თქვენ ჩემთვის გაგზავნეთ იმ ბუტილკისათვის.

— მაშ ვისთვის! უპასუხა სახლთუხუცესმა ერთის გამოთქმით, რომ თითქო უნდა ეთქვა: უმადლოვ!

ბებერი გერცოგი მივარდა ყელზედ მოხუცს სახლთუხუცეს და უთხრა:

— შემინდეთ მე, თქვენა ხართ უძვირფასესი და იშვიათი სახლთუხუცესი.

— და თქვენ კი ახლა მაგდებდით.

— მე მოგცემთ ას პისტოლს თქვენ ბუტილკაში.

— და რადგან მოტანაც დამიჯდება ას პისტოლათ, მაშა სადამე შეადგენს ორასს. მეთანხმებით, გერცოგო რომ ძალიან იაფათ ჯდება.

— მე ყველაზედ თანხმა ვარ, და დღეიდგან მიადებთ ერთი ორად ჯამაგირს.

— გმადლობთ. მე ადვასრულე მხოლოდ ჩემი ვალი.

— მაშ როდის მოვა თქუენი ბუტილკა ორასის პისტოლისა?

— თქუენ ნახავთ, რომ მე დრო არ დამიკარგავს. გახსოვთ როდის მიბძანეთ, მე სადილის გაკეთება?

— მგონია სამი დღის წინ.

— კურიერისათჳს არის საჭირო ოცდა ოთხი საათი მისასვლელად და ოცდა ოთხი საათი მოსასვლელად.

— მაშასადამე თქუენ დაგრჩათ ოცდა ოთხი საათი. ის დრო რაში იხმარეთ.

— აი მაგაში ვარ დამნაშავე: მე დავკარგე ეგ ოცდა ოთხი საათი, ამისთჳს რომ ის ბუტილკა მეორე დღეს მომაგონდა როცა თქუენ მიბძანეთ. თქუენ ახლა ჰხედავთ, რომ სადილი გადავდე ხუთ საათამდის, ამისთჳს რომ საჭირო იყო.

— მაშ ბუტილკა ჯერ არ მოსულა.

— არა.

— მერე რას იტყჳთ, რომ თქუენი მოადგილე სავერნაში, ახალი სახლთუხუცესი პრინცის როგანისა იქნება ის ეთი პატიოსანი, როგორც თქუენ, და არ მოგცემთ იმ

ძვირფასს ბუტილკას.

— ეგ არ შეიძლება.

— მე მგონია თქჳენთჳს რომ ეთხოვათ იმისთანა ძვირფასი ბუტილკა არ მისცემდით ჩემის მარწილდამ.

— შემინდეთ დერცოდო; თუ ჩემი ამხანაგი სადილს გაუკეთებდა კაროლს, და მამთხოვდა თქჳენ ღვინოებს მე უთუოთ თქჳენს საუკეთესო ღვინოებს გაუგზავნიდი. — ამისთანა დიდ შემთხვევაში ჩჳენ ერთმანერთის უნდა შევეწივნეთ ხოლმე.

— ეგ უჳველი კარგი: მაგრამ ჩჳენ ბუტილკას შეიძლება უბედურება რამ შეემთხჳეს.

— რა უბედურება?

— შეიძლება გზაზედ გატყდეს.

— ეგ მაგალითი არა ყოფილა, რომ ბუტილკა გატეხოს რომელიც ღირს ორას პისტოლათ.

— ეგ მართალია. როდის მოვა თქჳენი კურიერი.

— სწორედ ოთხ საათზედ.

— მაშ რატომ არ შევჳძლიან ოთხ საათზედ ვისადილოთ?

— ამისთჳს რომ ღვინომ უნდა დაისვენოს ერთი საათი,

ისიც ერთის ჩემის მოგონებულის ხერხით, თორემ სამი დღე უნდა ღვინოს დაცლა.

მარშალმა ნახა ცხადად, რომ იმისი სახლთხუცესი უგ-ელაში მართალი იყო, და ტყუილად ჯავრობდა. . .

— ამასთანავე, დერცოდო, განაგრძელა სახლთხუცეს-მა: — თქუენმა სტუმრებმა იციან რომ ექნებათ პატივი ისადილონ ერთად გრაფ გაგსკისთან და ამისთვს მოვლ-ენ მეხუთის ნახევარზედ.

— ეგ რისაგანა გგონიათ თქუენა?

— მე მაგაზედ დარწმუნებული ვარ. რომ თქუენთან არიან დაპატიჟებული. უფალი დო—ლონე, გუბერნატო-რი ბასტილიისა, გრაფინა დუბარისი. უ. ლაპერუზ, მარკიზი ფავარსი. უ. კონდორსე. უ. გ. ლიოსტრო. და უ. ტა-ვერნე.

— და რა გამოვა მაგისგან?

— აი რა, დავიწყოთ რიგზედ. უ. დო—ლონე წამოვა ბასტილიიდგან ცუდს გაყინულს გზაზედ: სამი საათი მო-უნდება.

— უფალი დო—ლონე წამოვა ბასტილიიდგან ცუდ გზ-აზედაც სადილთ უკან თავის პერიჩილებისაგან, და ისი-

ნი სადილსა ჰსჭამენ შუადღისას— მე ეგ კარგათ ვიცი.

— შემინდეთ, გერცოდო: იმას აქეთ რაც თქჳენ გამობძანდით ბასტილიიდგან, ტუსაღნი სადილობენ საათოზედ.

— იქნება მართლა? მე ეგ არ ვიცოდი. მერე ჰსთქუჳთ...—

— გრაფინა დუპარსი წამოვა დუკსენიდგან, გზა არის თავდადმართიანი და თოვლიანი.

— არა, ეგ არ დაუშლის გრაფინას რომ დროზედ მოვიდეს. თუ მე მალას გატანდი, რომ ადრე მესადილა მიზეზი ეს იყო, რომ უ. ლაპერუზ სადამოზედ მიდის ეკსპედიციაში და იმას არ შეუძლიან დიდხანს ჩემთან დარჩეს.

— უფალი ლაპერუზ ეხლა კოროლთან არის და განსჯიან გეოგრაფიას და კოსმოგრაფიას. კაროლს ასე უყვარს ეგ საგანი, რომ ადრე არ გამოუშვებს უ. ლაპერუზს.

— ეგ შეიძლება.

— მაგ გვარივე შემთხვევა შეხუდება უ. ფავრას, რომელიც ეხლა არის გრაფ პროვანსკისთან და ლაპარაკობს ახალს ბონმარშეს პიესებზედ.

— ფიგაროს ქორწილზედ.

— დიახ ჰსწორეთ. . .

— მგონია თქვენ ლიტერატურასაც ეწყობით?

-- თავისუფალ დროში, მიყვარს კითხვა.

— მაგრამ უ. კონდოსსე ვითარცა გეომეტრი და მათემატიკი, უთუოთ მოკვა თავის დროზედ.— ის უთუოთ ათავებს, რომელსამე ზადაჩას და მასუკან ნახავს, რომ დაუგვიანდა, და რაც შეეხება, გრაფ კალიოსტროსა, ის უცხო ქვეყნის კაცია არ იცის ვერსალის ჩვეულებანი და უთუოთ მოგვაცდევინებს.—

— თქვენ მე აღმიწერეთ ჩემი სტუმრები დომერის კელოსნებით.

— მე არ ვახსენე ხოლოდ მარკიზ დო, ტავერნე; მაგრამ ის თქვენი ძველი მეგობარია და იცის ზრდილობა. ან სულ თქვენი რვა სტუმარი.

— სად ვისადილებთ ჩვენა.

— დიდ სტოლოვოიში.

— მაგრამ ჩვენ იქ გავიყინებით.

— სამი დღეა რაც ვათბობინებ, და ეხლა თვრამეტი გრადუსია სითბო იმ ოთახში.

— კარგა მგონია საათი სცემს, მეხუთის ნახევარია.

— დიახ დერცოდო, აი კურიერიც შემოვიდა ეზოში ჩვემის ბუტალკით.

— ვისურვებდი მე რომ ჩემთჳს გემსახურნათ კიდევ ოცი წელიწადი, უთხრა მარშალმა, უყურებდა სარკეში და და ითხოვა სახლთხუცესი.

— ოცი წელიწადი! მოისმა ქალის ხმა მარშლის უკან სიცილით. ოცი წელიწადი, განამეორა მშვენიერმა ქალმა შემოვიდა ოთახში.

— მე მსურს რომ თქუჱნ იცოცხლოთ, მაგდენი წელი; მაგრამ მე მაშინ ვიქნები სამოცის წლისა და ბებერი.

— თქუჱნა ხართ გრაფინავ, მიუგო მარშალმა:-- თქუჱნ პირველი მობძანდით! ღმერთო ჩემო, რა მშვენიერი ხართ და უმაწვილი!

— უმჯობესია გითხრათ დერცოდო, რომ მე გავიყუონე.

— შევიდეთ ბუდუარში. იქ თბილა.

— როგორ მარშალო, მე თქუჱნთან, ცალკე?

— აი მეც თქუჱნთანა ვარ დაუმატა მესამე ხმამ.

— დო, ტოვერნე! დაიყვირა მარშალმა.— უდროოთ მო

ვიდა სამაგელი ყურში უჩურჩულა რიშალიომ გრაფინას.- ყოველთჳს უდრო უდროთ მეჩხარება.

— ცელქო! უპასუხა ჩუმათ გრაფინამ და მაღლა გაიცინა, სამნივე შევიდნენ ერთ ოთახში. ამა დროსვე მოისმა ხმა კარეტათა, რომელთა აცნობეს დანაშთენ სტუმართა მოსვლა, და მალე დასხდნენ რვა კუთხიან სტოლზედ დიდს სტოლოვოიში. ცხრა ლაქია (მოსამსახურე), როგორც ჩრდილნი, მარდნი და მიმხვდარნი, მდუმარად დასცურავდნენ ხალიჩებზედ, არ წამოჰკრამდნენ ფეხსა, რომელნიცა იფლებოდნენ ხალიჩის სირბილეზედ.

ამასთანავე უნდა დაუმატოთ: სითბო ბუხართა, სუნი საჭმელთა, ღვინისა და ჩუმი ლაპარაკი, შემდგომ პირველის საჭმლისა.

სტოლოვოიში არ შემოდიოდა არაფერი ხმა; და თითქო ამ ოთახში მხოლოდ სტუმარნი იყვნენ ცოცხალნი. მოსამსახურენი ასე ჩუმათ სცვლიდენ ჭურჭელთა და ვერცხლეულთა, რომ არ ისმოდა არც ფეხის ხმა; სახლთხუცესი იდგა ბუფეტთან და აძლევდა ბრძანებას. ათს მანუტს უკან სტუმართ იგრძნეს რომ დარჩნენ მარტონი სტოლოვოიში, ამისთჳს რომ ჩუმნი მოსამსახურენი თით-

ქო იყვნენ ურუნი, ანუ ავტომატნი ( ანდრიანტნი ).

მარშალ რიშალიომ პირველმა გაწყვიტა დუმილი და უთხრა თავის მეზობელს, რომელიც უჯდა მარჯვნივ:

— თქჳენ ღვინოს არა სვამთ გრაფო?

ეს სიტყჳა რომელსაც უთხრა რიშალიმ, იყო კაცი ოცდა თვრამეტის წლისა, ქერას თმითა, საშუალო ტანითა, ცისფერის თვალებითა, რომელნიცა იყვნენ ხან-მკვირცხლნი, და ხან ფიქრიანნი; კეთილ შობილური ჩამომავლობა ცხადად იყო დაწერილი მისსა დიდებულსა გარეგანსა სახეზედ.

— მე ვსვამ მარტო წყალსა მარშალო, მიუგო გრაფმა ვაგსკიმ.

— კაროლ ლუდოვიკ მეთხუთმეტესთან თქჳენ დალიეთ ღვინო, გრაფო, მე მახსოვს, ამისთჳს რომ მე მქონდა ბედნიერება იმ სადილზედ დაპატიჟებისა.—

— დიახ აგრე იყო, მარშალო, ეგ იყო 1771 წელსა; მაგრამ მე დავლიე მაშინ ტოკაის ღვინო, გამოგზავნილი ავსტრიის იმპერატორისაგან.

— ის იყო ჳსწორეთ მაგისი ღვინო, რომელიც დაგისხათ თქჳენ ჩემმა სახლთხუცესმა სტაქანზედ, მიუგო რი

შელიომ.

გრაფმა გაგსკიმ აიღო სტაქანი შეხედა ღვინის ფერსა ლუსტრების სინათლეზედ, ღვინო გამობრწყინდებოდა, მზგავსად იაგუნდისა, იმან ნახა გემოთ და ჰსთქუა:

— თქუჱნ მართალი ბძანდებით მარშალო, დიდათ გმადლობთ.

— ეს გმადლობ იყო ასე კეთილ-შობილურის და ალერსიანის გამოთქმით, რომ ყველანი იქ მსხდომნი წამოდგნენ და დაიყვირეს.

— ადღეგრძელოს მისი დიდებულება.

— დიახ ჰსწორეთ აგრე, ღმერთმა ადღეგრძელოს კაროლი ფრანციისა. უფალო ლაპეროზ, მე მგონია თქუჱნც ჩუჱნთან დალევთ კაროლის სადღეგრძელოს?

1. სახ.ი. [illegible] [illegible] [illegible]

რუსულიდან გადმოკეთებული ქართულად.

[illegible] [illegible]

2. [illegible] [illegible] [illegible] — [illegible]

მიხ. მაჩაბელი

3. [illegible] [illegible] [illegible] [illegible]

რუსულიდან გადმოკეთებული [illegible] [illegible]